# დროშა

ნოემბერი
№ 11 1986

ეროვნული
ბიბლიოთეკა

619
1986



ISSN 0130—1624

ნომერში:

ქველი ქალაქის ახალი რეალიები

ინტერვიუ სარკეში

ამბავი ერთი პოეტისა

ბედი ვაზისა

ავარია

თაობა მოდის...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფოტოინფორმაცია



ლაგოდეხი. ახალი სასტუმრო.

სოფელი უდნისკარი. ახალი სპორტული კომპლექსის სიმბოლური გასაღები.



მახინჯაური. ახალი უნივერმაღი.





ვარძია — 800.

თბილისი. ახალი სასტუმრო „ამირანი“.



619
1986
ეროვნული ბიბლიოთეკა





# დიდება დიდ ოქტომბერს!



საერთაშორისო გამოფენა — „კურორტი-86“.



ახალი მიკრორაიონი „გლდანული“.



თბილისობა — 1986 წ.

## ფოტოინფორმაცია





ქობულეთი. სოფელი დაგვა. დიდების მემორიალი.



ახალი საჰაერო გზა: თბილისი-მესტია.



მორიგი დავალება მშენებლებს.

შრომის ვახტზე დგას აირშემდუღებელი.





სამუშაოსაკენ.



იგი მაღლივი შედუღების ოსტატია.

ფოტო თარხან არჩვაძისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზუგდიდელთა შემართება



მთავრდება რკინა-ბეტონის ქარხნის მშენებლობა.

მშენებლობის საერთო ხედი.

ბოლო წლებში ზუგდიდი მშენებლობათა ქალაქად იქცა.
1982 წელს ჩამოყალიბდა მე-12 საამშენებლო ტრესტი, რომელიც ძირითადად ემსახურება ზუგდიდსა და მის რეგიონში მშენებარე ობიექტებს.

მიმდინარე ხუთწლედში ტრესტს 35-40 მილიონი მანეთის სამუშაოები აქვს შესასრულებელი. სულ მალე ექსპლოატაციაში შევა რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხანა. იგი 75 ათას კუბიკურ მეტრ რკინა-ბეტონის სხვადასხვა სახის კონსტრუქციით მოამარაგებს ქალაქის მშენებლობებს.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 11 (599), ნოემბერი, 1986

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნომერში:

კარლო კობერიძე — ბედი ვაზისა
ნათელა გიორგობიანი — თაობა მოდის...
გივი მეფისაშვილი — ძველი ქალაქის ახალი რეალიები
ვახტანგ აბაშიძე — ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა
ვლადიმერ გუბარევი — ავარია (ნაწყვეტი პიესიდან)
იტალო კალვინო — ამბავი ერთი პოეტისა (უცხოური ნოველა)
აკაკი მაღრაძე — შორეული წინაპრების ნაკვალევზე
გულნარა ბახტაძე — რა დამავიწყებს
კოტე მახარაძე — ინტერვიუ სარკეში
კროსვორდი
ზურაბ ურუშაძე — 24 წლის წინ...

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1986 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქინქლაძე

●

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ვახტანგ ესვანჯია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპ. ბ.
18205

კარლო კობერიძე

მტერმორეული ჯობია მამულმორეულსაო
ჩვენებური ანდაზა

# ბედი ვაზისა


ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ვაზის ბედსა და სიკეთეზე იმდენი თქმულა და დაწერილა, თითქოს აღარ უნდა ღირდეს ქაღალდის შეწუხება, მაგრამ აქამდე მოტანებული ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ძირითადად ვაზის, ვენახის ბარაქა-უბარაქობასთან არის დაკავშირებული და ამ მხრივ მეც რომ ვთქვა სამადლობელი ან სამდურავი, მგონი უჩვეულოდაც არ უნდა მოეჩვენოს ვინმეს. ამას რომ ვამბობ, უპირველესად ჩვენი ზოგიერთი მეცნიერის აკვიატებული პრეტენზიები მაქვს მხედველობაში — საკმარისია, მათ „კომპენტენციაში“ შეიჭრას ვინმე, მაშინვე დილეტანტის იარლიყს მიაკრავენ, ის კი ავიწყდებათ, რომ დილეტანტი მოყვარულსაც ნიშნავს.

მაშ, ასე: მოსიყვარულე, მოყვარული თვალით ვიხედები ვაზისკენ და ვწერ მხოლოდ მას, რასაც ვხედავ, ვამჩნევ, ვგრძნობ და რაც ასე მეჭიდება გულზე! თუმცა თავს ვიტყუებ მგონი: მთელი ჩვენი უბედურება ის არის, რომ ბოლომდე გულახდილები არა ვართ ხოლმე. გულახდილობა რატომღაც ბავშვების ბუნება, თვისება გვგონია. საკმარისია, კაცმა გულახდილად თქვას, ამტკიცოს რამე, გულუბრყვილობაში ვუთვლით.

რატომ უნდა ხდებოდეს ასე?

რატომ ვერ მივეჩვიეთ სიმართლის თქმას?

რატომ ხდება, რომ ერთს ვფიქრობთ და მეორეს ვამბობთ?

მოდით, ჩვენს ეშმაკს გადავუდგეთ წინ და ისე ვილაპარაკოთ, ისე გულახდილად, ვითომც საკუთარ თავს ვესაუბრებოდეთ ტრიალ მინდორზე.

ოდითგანვე საქართველოში ხუთასზე მეტ ვაზის ჯიშს ვარაუდობენ მეცნიერები. დასაჯერებელია, რაკი ლექსიკონებში ვაზის ისეთ სახელებს ვხვდებით, რომლის სახსენებელიც კარგა ხანია, აღარ ჩანს. რაღა შორს წავიდეთ, აგერ, ჩემ თვალწინ, სავალალოდ შეცოტავდა, ანდა დაიკარგა ცვივანა, ხარისთვალა, ჩინური, მარცვალი, ჟღია... რა გამახსენებს და რა ჩამოთვლის! მარტო ეგ კი არა, ლამის ბუდეშურიც საძებარი გამიხდა. თუ საცდელი ნაკვეთი ინახავს, ანდა აქა-იქ შემორჩა სადმე, ეს ვერაფერი სანუგეშოა. რატომღაც უცხოური ჯიშები ვანაცვალეთ ჩვენსას. ასე დაემართა თითას — ბულგარულმა სახეივნე ვაზმა შეცვალა: ისე იტკვიფება, ისე იმსხვილებს მარცვალს, ისეთ მტევნებს დაიყრის ხოლმე, მტერს არ დაენახვება, მაგრამ გემოთი კი ვერაფრით მიუდგება თითას. ამაზეა ნათქვამი, თვალი ჭამს და თვალი სვამსო. ამ შემთხვევაში მეცნიერული აზრი უნდა მოიკოჭლებდეს, თორემ არა მგონია, ასე უკუღმართად წასულიყო საქმე. თანაც მიმბაძველობა, წამხედურობა ისეთი სენია, თითქმის ერთნაირად მოქმედებს მოზარდსა და ხნიერზედაც.

თითქოს ყველა ის გადამთიელი, საქართველოს რომ იპყრობდა, უპირველესად ვაზს ჩეხავდა, ანადგურებდა, როგორც ჩვენი ეკონომიკის ძირითად წყაროს. ამას მივაწერთ მონღოლებსაც და ჩვენს სამხრეთელ მუსლიმან მეზობლებსაც. მაგრამ ის კი გვავიწყდება, რომ ყველა ეს დამპყრობი მომთაბარე ხალხი იყო, უფრო სწორად — მესაქონლე. ჰოდა, აღარც გასაკვირია, საძოვრების გაფართოების მიზნით ზვრები გაეკაფა, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენი ეკონომიკის დაქვეითებაც იგულისხმება თავისთავად. ეს ერთი. მეორეც, მუსულმანური რელიგია მაგარ სასმელებს კრძალავს, კერძოდ — ღვინოსაც. ქიშმიში კი, აღმოსავლური ქიშმიში, ახლაც სანაქებოა, ჩვენ კი ერთადერთი ჯიშის საქიშმიშე ვაზი გვაქვს, სათალარე — უწიპნოს ვეძახით. ჩვენი ეკონომიკური დაქვეითების მიზნით შაჰ-აბასის ბრძანებით თუთა, ფურცელი გაიკაფა ქართლ-კახეთში, ვინაიდან ყაჭი აბრეშუმი მთავარი საექსპორტო საქონელი იყო. საკმაო წილი მოდიოდა სალებავზე, კერძოდ — ენდროზე.

ჩვენი ტყეები სავსეა ნასოფლარებით. ნასოფლარების არსებობაზე მარტო საცხოვრისის ნანგრევები არ მიგვანიშნებს. მიგვანიშნებს ჭინჭარი, კაკალი, ვაზი. სადაც ვაზია, იქ ან ნასოფლარია, ან ნაეკლესიარი.

ეს ბოლო ათი-თხუთმეტი წელიწადია, რაც ომბალო შემოვიდა კახეთში, ბევრმა მოსახლემ ეზოშიც გაახარა. მაგრამ მანამდე ჩემი სოფლისთვის უცხო არ ყოფილა — ქალაქის ბაზარზე არ ვყიდულობდით. ჩემი სოფლის ტყეში ნასოფლარ „ციხე-კლდესთან“, იმდენი ომბალოა ახლაც, ნამგლით სათიბია პირდაპირ. აი, იქიდან ჩამოგვქონდა ომბალო. ეს იმას ნიშნავს, რომ ომბალოს სურნელ-სიკეთეზე მშვენივრად მოეხსენებოდათ აღმოსავლეთ საქართველოშიც.

სულ რაღაც ორიოდე თვის წინ წავიკითხე: თურმე აჭარელი გლეხი ვაზს ტყეში რგავდა და გაჩანაგება-გადაშენებისაგან ამით იცავდა! ამიტომ არის იქაური ტყეები ვაზით სავსეო.

ასეა აღმოსავლეთ საქართველოს ტყეებშიც, მაგრამ აქ უფრო ნასოფლარებს დაჰყვება. გაველურებულ ვაზს, საბედნიეროდ, ერთი კეთილი თვისება აქვს — საკმარისია, დამუშავებულ მიწაში მოხვდეს, პირველ წელსვე უბრუნდება კულტურული ფორმა. მეცნიერები ახალი ჯიშების გამოყვანაზე თავს არ იზოგავენ, არადა, ვინ იცის, რამდენ მივიწყებულ თუ დაკარგულ, უნიკალურ ვაზს ინახავენ ჩვენი ტყეები!

ასეა თუ ისე, წარსული მაინც წარსულია — როგორც იტყვიან, ისტორიას ჩაბარდა და, ახლა უკან ყურება ნერვების აწეწვის მეტს ბევრს ვერაფერს შეგვმატებს. აჯობებს წინ — ჩვენი შვილების, შვილიშვილების, შთამომავლობის საქართველოსკენ გავიხედოთ. მაგრამ ჯერ დღევანდელობას უნდა მოვავლოთ თვალი, ირგვლივ მიმოვიხედოთ, ვინაიდან სწორედ დღევანდელობაა მომავლის საფუძველი. მიმოვიხედავთ, ჩავფიქრდებით და ბევრი ისეთი რამ წამოიჭრება, ჭირის ოფლს დაგასხამს! — ჩვენს საამაყო ვაზს ძალიან უჭირს! ჩვენი რესპუბლიკა ვაზის, ღვინის კლასიკური ქვეყანაა, ტრადიციაც დიდი გვაქვს, თუმცა მოგებას, გეგმის შესრულებას გადავყევით და თანდათან დავი-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიწყეთ ის, რითაც თავი გვეამაყება, უფრო სწორად — გვეამაყებოდა.

ახლა, ამას რომ ვამბობ, ძალაუნებურად მახსენდება ამ რამდენიმე წლის წინ წამოჭრილი დისკუსია ჩვენი სოფლების დაცარიელების თაობაზე: პრესით, რადიოთი, ტელევიზიით სოფელში დასარჩენად უფრო ისინი მოუწოდებდნენ ახალგაზრდებს, ვისაც სოფელი გავლით ენახა, ანდა ბებია-ბაბუებთან საზაფხულო თუ სადღესასწაულო სტუმრობით. ბევრი იწერება ვაზის სიკეთეზე — ლექსი გინდა, მოთხრობა, პიესა, სცენარი, აუარებელი წერილი თუ სტატია, მაგრამ ახლოს არ მიდიან, არავინ უსმენს მათ, ვინც ლამის ხელი ჩაიქნიოს ვენახზე — ამ მხრივ დუმილს ამჯობინებენ სოციოლოგებიც. ბევრი დაწერილა იმაზე, რომ ყურძნის ფასი დახარჯულ შრომას არაფრით შეესაბამებაო, მაგრამ რა გამოვიდა ამით? არაფერი — დამამშვიდებელი პასუხიც არ გაუციათ. ღვინის ფასმა აიწია, ყურძნისა კი იგივეა. ერთხელ კაპიკები მოუმატეს, სამაგიეროდ, საკონდიციო სიტკბო აუწიეს და ფასი იგივე დარჩა. მაშინ ფასის მომატებამ ნამდვილად დიდი ხმაური გამოიწვია, სასიკეთო ხმაური, მაგრამ საკონდიციო სიტკბოს აწევაზე ხმა არავის ამოუღია. ეს მაშინ, როცა თავი მოგვაქვს, მსოფლიოში ყველაზე მეტი უმაღლეს დამთავრებული ჩვენშიაო. ვითომ ვერავინ შეამჩნევდა? საბედნიეროდ, თქმას არავინ გვიშლის, და ესეც სიკეთეა, სხვაც არა იყოს რა, გულს მაინც მოიოხებს კაცი.

ვაზს ათასნაირი ავადმყოფობა ემტერება. სამწუხაროდ, რაც დრო გადის, მით უფრო ახალ-ახალი სატკივარი უჩნდება, რასაც შხამ-ქიმიკატებით ვებრძვით. მაგრამ ეს რომ არსად იყიდება? საზოგადოებრივ მეურნეობებს სახელმწიფო ამარაგებს, გლეხი კი იძულებულია მიდგეს-მოდგეს და როგორმე იშოვოს შხამ-ქიმიკატები, თავისი ვენახი რომ გადაარჩინოს. ამას, უბრალოდ, ქურდობა ჰქვია, ანდა ნაცნობობით, ძმაბიჭობით შოვნა — ყველა შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის მუქარა ისმის. სიმართლეს ვერ დავფარავთ: კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს მითითება აქვთ, უსასყიდლოდ დაურიგონ მოსახლეობას უკვე დაყენებული შხამ-ქიმიკატები, თანაც ადგილზე მიტანით. დოკუმენტები რას ამბობენ არ ვიცი, მაგრამ ფაქტია — სანახევროდაც არ სრულდება ეს მითითება თუ დადგენილება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ შხამ-ქიმიკატებით ადამიანების მოწამვლა არცთუ იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ ასეთი უბედურება არასოდეს გამხდარა მსჯელობის საგანი, რაკი საგულდაგულოდ იჩქმალება, ანუ სათანადო სიმაღლემდე არ აღწევს. ისევ დოკუმენტები მოქმედებენ და არა ფაქტები — ზოგიერთ ექიმს საამისო გამოცდილებაც საკმაოდ აქვს.

საქართველო სახნავ-სათესი ფართობით ბევრად ჩამორჩება სხვა რესპუბლიკებს, და მაინც უყაირათოდ ვექცევით მიწას. სახნავ-სათესის ნაცვლად ხშირად სიტყვა სავარგულს ვხმარობთ, რაც შეცდომაა. უფრო ნათელი წარმოდგენა რომ გვექნეს, აჯობებს ფაქტებს მივმართოთ: 1984 წლის აღწერით გურჯაანის საზოგადოებრივ მეურნეობებში ირიცხებოდა 9.895 ჰექტარი სრულმოსავლიანი ზვრები. ამ ფართობზე უნდა ყოფილიყო 31.029.300 ძირი ვაზი. ფაქტობრივად აღმოჩნდა 23.587.700 ძირი. ვაზის დანაკლისმა შეადგინა 7.359.300, ანუ 24 პროცენტი. ყველაზე დიდ, გაზრდილ მონაცემებს თუ ავიღებთ, ჰექტარზე ირგვება 4.000 ვაზი. ესე იგი, 1840 ჰექტარი მიწა თვალსა და ხელს შუა იკარგებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სიმეჩხრე შემცირებულია, მაშინ უფრო სავაგლახო რიცხვს მივიღებთ. დაკანონებული გეგმით ერთი ჰექტარი ვენახის მოვლა 1900 მანეთი ღირს, ფაქტობრივად კი 2300 მანეთიდან 2600 მანეთამდე მერყეობს. საშუალო ღირებულებას თუ ავიღებთ და სულ ტყუილად მოვლილ, ნაპატივებ, ანუ ცარიელ ჰექტრებზე გავამრავლებთ, ადვილად მივხვდებით, რა უზარმაზარი თანხა იყრება წყალში მარტო გურჯაანის რაიონის მაგალითზე.

ამჟამად გურჯაანის რაიონში ვენახების სიმეჩხრე მხოლოდ 12 პროცენტი ყოფილა. ეს, რა თქმა უნდა, სიამაყით მითხრეს, თუმცა არც ეს პროცენტია დაბალი.

დიახ, მეჩხერი ვენახების მიზეზით უზარმაზარი თანხა მიაქვს წყალსა და ღვარს. და ეს მაშინ, როცა დახლიდარმა ათ შაურში თუ მოგვატყუა, უყოყმანოდ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე.

ამ ათიოდე წლის წინ, როცა ვენახების ფართობების გადიდების ტენდენციამ ზენიტს მიაღწია, გურჯაანის რაიონის სოფელ შრომაში რეზერვი გამონახეს — საკოლმეურნეო, სასოფლო ტყის — „ხმელიანის“ ხარჯზე. ხმელიანი 300 ჰექტარი



იყო. როგორც იტყვიან, დაკვრის წესით გაკაფეს, ამოძირკვეს ხმელიანი, გაასუფთავეს, გადახნეს და ვაზი ჩაყარეს... ქვა-ღორღში. მერე ზემდგომ ორგანოებს უპატაკეს: ვენახების ფართობი 300 ჰექტარით გაიზარდაო. ნეტავი ახლა გაჩვენათ ის, უკაცრაული ქართულია, ვენახი. ამ ტყის ქვევით იყო სოფლის უმეტესი მამული. ალბათ, რაიონის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა იფიქრეს, აქაურ ხალხს, ეტყობა, სიარული უყვარს, თორემ იმ სიშორეზე კი არ ივლიდა, ვენახს ამ ტყის ადგილას გააშენებდაო. ასე განადგურდა მშვენიერი ტყე — ხმელიანი. ასე გაჩანაგდა ფლორა და ფაუნა. მერედა, ვინ აგო პასუხი? იქნებ ამის მიზეზიც არის, რომ შრომის ზვრებში სიმეჩხრე 31 პროცენტია? ასევე 31 პროცენტია კარდენახის მეურნეობის ზვრების სიმეჩხრეც. სხვა კოლმეურნეობებსა და მეურნეობებში რა შედარება. გაცილებით უკეთ არის საქმე, თუმცა დამშვიდების უფლებას მაინც არ იძლევა. ბოლო-ბოლო, სირცხვილია ამდენ ოქროდ ღირებულ მიწას ასე უყაირათოდ და გამქცევი კაცივით მტრულად რომ ვექცევით. ამიტომ მგონია, ახალი ზვრების გაშენებაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, არამედ სიმეჩხრის მოსპობაზე — აი, ასე გამოინახება რეზერვი, თორემ რა გამოდის? — ფართობი ზვრებად გვეთვლება, არადა ვენახი არ არის, ნამდვილი ვენახი.

პრობლემებს რა დაგვილევს!

კარგა ხანია, ტრადიციული გახდა ვენახების დათვალიერება, რაც ნამდვილად კარგი წამოწყებაა; გარკვეულ დრომდე უნდა დამუშავდეს ზვრები, დროულად და ხარისხიანად დამუშავდეს. წინასწარ ცნობილია დათვალიერების დღე. ეს, ერთი შეხედვით, თითქოს კარგია. მოვლა-დამუშავება რომ მოასწრონ დიდიან-პატარიანად ზვრებში გადიან, იწყება დაწესებულება-ორგანიზაციების გაუთავებელი, მომქანცველ-მომაბეზრებელი შაბათობა — ორშაბათიდან კვირის ჩათვლით. ჩქარა და ჩქარა, თორემ დრო არ იცდის! ასეა.

დგება დათვალიერების დღეც. საზეიმო განწყობილებაა. ჩამოდიან ხელმძღვანელები, ცნობილი ადამიანები — ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები. ხალხს საზეიმო გუნება-განწყობილება აქვს, ტანსაცმელზეც შეატყობთ ამას. ჩასხდებიან მანქანებში და ერთ დღეს, ერთადერთ დღეს, ათვალიერებენ მთელი რაიონის ზღვადდაცემულ ზვრებს. რაიონის და, რაღა თქმა უნდა, საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელებმაც მშვენივრად იციან, რომ ერთ დღეს წარმოუდგენელია მთელი ფართობის შემოვლა, ამიტომ იმ გზების აქეთ-იქით, სადაც დამთვალიერებლებმა უნდა გაიარონ, დიდებულად არის მოვლილი ზვრები, ბევრიც ეცადო, წუნს ვერაფერში დასდებ! თანაც იქ მიჰყავთ, სადაც ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა წინა დღეებში თვითონ შეამოწმეს და უმაღლესი ნიშანიც დაუწერეს. მაგრამ... ვაჟა-ფშაველას თქმისა არ იყოს, მაგარი ის არის, რომ ამ მოვლილ ზვრებს იქით, უმეტეს წილად ისეა აბალახებული ვენახები, მართლაც, ვერ გაძვრება ტურა. ბუნებრივია, სანიმუშო ზვარი ბევრია, მაგრამ უფრო ბევრი ბალახში იხრჩობა.

და აი მივადექით იმ ზღრუბლს, რომლის გადალახვაც აუცილებლად მიმაჩნია, ვინაიდან დიდი ხანია ვატყობ და ვერაფრით დავადგინე: როდემდე უნდა ვადგეთ სიცრუის გზას? სხვისი მოტყუება მესმის, ეს უკვე საკუთარი თავის გამოჩენის, ავტორიტეტის შექმნის მიზეზით ხდება, მაგრამ რა პასუხს აძლევ ხალხს, ვინც აშკარად, თავისი ორთავ თვალით ხედავს იმ სიყალბეს. ეს არ უნდა ხდებოდეს ახლა, ასე თავგამოდებით რომ ვებრძვით ნეგატიურ მოვლენებს; ვებრძვით, ვებრძვით და ლამის თვითონ ეს ბრძოლა ვაქციოთ ნეგატიურ მოვლენად. სწორედ ესაა და ამგვარი ბევრი სხვაც მშრომელ, მიწას შეჭიდებულ კაცს გულს რომ უტეხს, ქირქილის გუნებაზე რომ აყენებს. არა თქვას — გული არ უთმენს, თქვას და — ვინ უსმენს! არადა, გვავიწყდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს წინაპრებად ვიქცევით და საქმენი ჩვენი გამოგვაჩენენ ჩვენ. და კიდევ: ყურძნის დამზადების გეგმა სწორედ იმ კარგად მოვლილი, დატკეპნილი ზვრების მიხედვით დგება სანიმუშოდ, უფრო სწორად, სხვათა დასანახად, თავის გამოჩენის მიზნით რომ უვლიან. გეგმა მყარია — აუცილებლად უნდა შესრულდეს, შესრულებას კი ხშირ შემთხვევაში, მიწერები მოსდევს, მიწერებს — ფალსიფიკაცია, ფალსიფიკაციას — უშრომელი შემოსავალი, ნაირნაირი მანქანები, სასახლეები, მოკლედ — ქონება და... მომხმარებელთა განადგურებული ჯანმრთელობა; ამას დამტკიცება არ სჭირდება, თუნდაც ის სასამართლო პროცესიც კი საკმარისია, თელაველი (თელიანის ღვინის ქარხნის) მეღვინეების „საქმენი საგმირონი“ რომ გამოიტანა სააშკარაოზე.

და მაინც ჩვენი სიამაყეა ვაზი.

არ ვიცი, საიდან შემოვიდა უწამლო ვაზი — კუმს მტევანს ისხამს, კაბერნეს წააგავს. აქაოდა, შეწამვლა არ უნდაო, მოსახლეობამ საფერავის ნაცვლადაც კი გააშენა. — დაწურეს და მერე არ შემჩნიეს?! — თურმე ნუ იტყვი, არც არომატი უვარ-



გა, არც ბუკეტი და არც სასარგებლო ყოფილა — თავს ატკივებს ორიოდე ჭიქის დალევაც კი. იზაბელა მეგონა და სახეივნედ ოთხი ვაზი დავრგე ეზოში. ეზოში, სახეივნედ უწამლავი ვაზი სჯობია — შაბიამიანი, გოგირდი, შხამ-ქიმიკატებიო — იქაურობას განგლავს, სუნი კიდევ სხვაა. მესამე წელს დაისხა და ეს უჯიშო უწამლავი კი აღმოჩნდა! არც მწერი ეტანება და არც ქათამი, არადა, მიწიდან ორ-სამ მტკაველზე ასხია მტევნები. ნამდვილ, სასარგებლო ყურძენზე კი ნათქვამია:

„კარგი ხარ, კალოს ვენახო,
რომ არა გჭამდეს წიწილი“.

ბევრმა მოსახლემ გაკაფა ეს უჯიშო ვაზი, ბევრს არ ემეტება; მის წინააღმდეგ საბრძოლველად ერთ-ერთი სწორი გზა იყო — არ უნდა მიეღოთ ღვინის ქარხნებს. არ მიკითხავს და არ ვიცი, რაში იყენებენ.

უნგრეთში ნამყოფმა ერთმა ნაცნობმა ინჟინერმა მიამბო, სანიმუშოდ არის იქაური ზვრები მოვლილი, მაგრამ მთავარი მაინც სხვააო: ყველა მიკრორაიონში ენდემური თუ უკვე შეგუებული ვაზის ჯიში ან ჯიშები ყოფილა გავრცელებული; გამოუცხადებიათ მკაცრი კარანტინი — იმ მიკრორაიონში სხვა ვაზის ჯიშის შეტანა კატეგორიულად აკრძალულიაო. იქნებ ჩვენც შემოგველო ასეთი კარანტინი?

ახლა, ბრძოლა რომ გამოვუცხადეთ ლოთობას, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ვენახების ფართობი უნდა შემცირებულიყო. საამისო საუბარი პრესის ფურცლებზე ყოფილიიყო, რაღაც არ მახსენდება, კულისებში ჩურჩული კი ხშირად გამიგონია.

გურჯაანის რაიონის ღვინის ქარხნებმა წლეულს 96.000 ტონა ყურძენი უნდა მიიღონ და გადაამუშაონ. ეს გეგმა არც სამერმისოდ შემცირდება, პირიქით, ზრდაა მოსალოდნელი, ანუ ვენახების ფართობების შემცირებაზე ფიქრიც ზედმეტია. როგორც ამ ქარხნების თავკაცმა დავით ლალიძემ მითხრა, წლეულს ჩურჩხელის წარმოებაზეც გადადიან, 50.000 ჩამიჩის ჩურჩხელა უნდა გაავლონ. საინტერესო წამოწყებაა, თუმცა საფიქრებელი ის არის, რომ ბევრ მუშახელს მოითხოვს — საამისო ტექნიკაზე კი ჯერჯერობით არავის უზრუნია.

ომის დროს ვინ გვაღირსებდა შაქარს, სად იშოვებოდა, მაგრამ ტკბილ ჩაის მაინც ვსვამდით — ყურძნის მურაბას ვაკეთებდით უშაქროდ. დიახ, უშაქროდ. გამოზომილი დუღილით ისე ჩაშაქრდება ხოლმე ყურძნის მარცვალი, გაცივებისას თეთრი, ტკბილი კრისტალებით იფარება. მერე ჩამიჩი? მერე ჩურჩხელა? ბადაგი? ახლა თაფლსაც ამზადებენ ყურძნისგან. ყურძნისგან მიღებული იმდენი რამ ჩამომითვალეს სპეციალისტებმა, ყურს არ დავუჯერე! წიპწაც კი, ჩვეულებრივი წიპწაც უძვირფასესი ყოფილა.

ჩვენს დალოცვილ ვაზს გადაშენება არ უწერია!

კახეთის რაიონებიდან ასობით ტონა ყურძენი შემოაქვთ თბილისში საზოგადოებრივ მეურნეობებს. ეს დალოცვილი სალ-

ვინე ყურძენი სუფრის ყურძნად იყიდება. მართალია სპეციალური მეურნეობების ჩამოყალიბებას აპირებენ, ისეთი მეურნეობებისა, რომლებიც მხოლოდ სუფრის ყურძენს მოიწევენ და ჩვენს დიდ ქალაქებს, კერძოდ, თბილისს მოამარაგებენ, მაგრამ ამაზე ახლავეა საჭირო ზრუნვა და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებათა გატარება.

მაგრამ ისევ ვენახების სიმეჩხერე გვაფიქრებს. ჩვენებურმა, უკვე პენსიონერმა, მცოდნე აგრონომმა მითხრა: რამდენი პროცენტი სიმეჩხრეც ჩვენს ზვრებშია, იმისი ნახევარი მიწაც კი საძოვრად რომ ვაქციოთ, საქონელიც ბლომად გვეყოლებაო. უნდა დავეთანხმოთ და დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ სიმეჩხრეს და, უპირველესად, იმ ინერტულ ადამიანებს, ვინც არაფრად აგდებს ამდენი მიწის დაკარგვას, ამდენ თანხას, რაც ცარიელი მიწის მოვლა-დამუშავებაზე იფლანგება ასე ხელგაშლით.

სიმეჩხრის მიზეზი კიდევ ის არის, რომ მოხვნისა თუ მექანიზებული თოხნისას აუარებელი ვაზი იჭრება, ვინ იცის, რამდენჯერ მინახავს უკვე მსხმოიარე, დაისრიმებული მოჭრილი ვაზი! ასეთი მექანიზატორი არც კანონით ისჯება და, ეტყობა, არც მორალურ პასუხისმგებლობას გრძნობს.

ზოგიერთი უცხოური ვაზის ჯიშის მოძალებამ გამახსენა: ამჟამად კახეთში იაპონური კაკალი მომრავლდა. ესეც დაუფიქრებლობის მიზეზია — ხშირად დამწიფებას ვერ ასწრებს. ამიტომ დროულად უნდა განემარტოს მოსახლეობას მისი უვარგისობა... ეტყობა, იაპონური კაკალი თბილი ქვეყნის მცენარეა — ოდნავ წამოჰკრავს სიცივე და ნაყოფს გული უჭკნება. ასეა: იაპონური კიმონო ისე არ გამოდგება ჩვენში, როგორც იაპონიაში ჩვენებური ჩოხა-ახალუხი...

სახელგანთქმული მეცნიერის სერგი დურმიშიძის მოგონებათა წიგნიდან ერთ პატარა ნაწყვეტს შევახსენებთ, საქართველოში მეცნიერული მევენახეობის ფუძემდებელ აკადემიკოს სოლომონ ჩოლოყაშვილთან ურთიერთობის ერთ ეპიზოდს, რომ ეხება:

„ერთხელ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ხმა გავარდა, სოლომონ ჩოლოყაშვილი ავად არისო... მის მეგობრებთან ერთად მოვინახულე ბ-ნი სოლომონი... ავადმყოფის საწოლთან მეუღლემ მშვენიერი სუფრა გაშალა და თამადობა მასპინძელმა იკისრა, თუმცა თვითონ არ სვამდა. ის-ის იყო, უნდა წამოვსულიყავით, რომ სასთუმალთან პატარა კარადაში ხელი შეყო ბატონმა სოლომონმა და ერთი ბოთლი ძალიან ძველი ღვინო გადმოიღო:

— მოდი, როგორც ყველაზე ახალგაზრდას, სერგის დავავალოთ ამ ბოთლის გახსნა და პირველი სადღეგრძელო, — ბრძანა მასპინძელმა.

კიდევ ერთხელ ვუსურვე დღეგრძელობა ბატონ სოლომონს, მხეგრძელობა და ჭიქა დავცალე. ვაი შენს მტერს, მე რომ დღე დამადგა. ავადმყოფმა ლოგინზე წამოიწია და შეჰყვირა:

— ყმაწვილო, ეს რა ჰქენი, ღვინო ასე როგორ დალიე, ვინა ხარ, სად გაიზარდე, ეს ღვინო ათი წელი იმიტომ ძველდებოდა, რომ კახური არაყივით გადაგეკრა?!.

ყველანი წავიდნენ, მე კი ბატონმა სოლომონმა კარგა ხანს არ გამიშვა. დიდხანს მიხსნიდა, რას წარმოადგენს ღვინო, მით უმეტეს, ძველი ღვინო და როგორ უნდა შესვას იგი კულტურულმა კაცმა, თან ერთი შეგონებაც დაურთო — ღვინო ისე და იმდენი უნდა დალიო, რომ გონებას ბრწყინვალება, ენას სიმახვილე და ხასიათს კაცთმოყვარეობა შეემატოსო".

ასეთ სმას არავინ უშლის, ვინაიდან სწორედ ასეთი კეთილშობილური თვისებისაა ქართული ღვინო, ჩვენი საამაყო ღვინო!

დასასრულ, იმ ანდაზას ვუბრუნდები, ამ წერილს რომ წავუმძღვარე — მტერმორეული სჯობია მამულმორეულსაო. ქართველი კაცისათვის მამული ვენახის სინონიმია.

ამ საუკუნის ოცდაათიან წლებში მკაცრად ისჯებოდა ყველა, ვინც ვაზს (დაბლარს) ორ-სამ რქაზე მეტს მისცემდა. ესაო, ვაზის ექსპლუატაციააო, რასაც უბრალოდ ვაზის მოწველას ეძახიან. ახლა კი, ახლა იმდენ რქას აძლევენ, შეგეცოდება ვაზი. ვაზის ასე „გასხვლა" დღევანდელი კვერცხის უპირატესობაზე მეტყველებს, რასაც არა მარტო ჭკვიანი კაცის წინგახედულება კრძალავს, არამედ თვით ვაზის, მცენარის ბუნება — ისე უნდა დაიტვირთოს, როგორც აიტანს, მოერევა ვაზი. ვაზი უფრო მაშინ ფუჭდება, მაშინ ხდება კრიკინასავით, მაშინ ვერ იმსხვილებს, ვერ ზრდის მტევნებს, როცა ახვევა-გაფურჩვნაში, ცის გახსნაში აკლდება ხელი, ანდა დროით არ შეიწამლება ხოლმე. „მწვანე ოპერაციები" მოსწრებაზე, ანუ რამდენიმე დღეზეა დამოკიდებული. ბევრ მამულს ცოტა მუშახელი, ბუნებრივია, ვერ აუდის — სწორედ ამაზე თქვა გამწარებულმა მევენახე გლეხმა, მტერმორეული სჯობია მამულმორეულსაო. ეს ანდაზაც ხომ ვაზის დიდი სიყვარულის დასტურია.

# თაობა მოდის


ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ერთი და სხვა მრავალი!..

მათი მისამართია ბაგები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ქალაქი, მეხუთე კორპუსი, მეორე სართული...

აი, 231-ე ოთახიც. აქ ცხოვრობენ ნინო და დათო დულაშვილები. დათო იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია, ნინომ წელს დაამთავრა თბილისის მეორე სამედიცინო სასწავლებელი. მათი პატარა ოჯახი ჯერ მხოლოდ ფრთებს ისწორებს ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელად.

... შუა ოთახში დაბნეული დგას კაფანდარა, შავგვრემანი გოგო და შავი, ცნობისმოყვარე თვალებით იცქირება. იგი რატომღაც გაზაფხულის მოკრძალებულ ყვავილს მაგონებს და ჩვეულებრივ ვეკითხები:

— გიყვართ ყვავილები?

იმწამსვე ცოცხლდება, ნდობით მიყურებს, მერე თეთრი კბილების ელვარებას ვხედავ და ნაზი, ქალური ხმაც მესმის:

— საიდან მიხვდით? ძალიან მიყვარს ვარდების, ტიტების, იების, ენძელების მოვლა. ერთი სული მაქვს, სანამ ჩავალ წითელწყაროში და ჩემს ყვავილნარს მივხედავ... ოღონდ ქოთნის ყვავილები არ მიყვარს რატომღაც.

ამის შემდეგ გაადვილდა საუბარი, გულიც გახსნა და თვალებშიც ნათელი ჩაუდგა.

მაშინ იქ, დიდი, თოთხმეტსართულიანი შენობის ერთ პატარა ოთახში, ახალგაზრდა ქალთან საუბრისას ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, როგორ ცდებიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ მეოცე საუკუნეში აღარ უნდა ვეძებოთ ამაღლებული იდეალები და რაინდული სული. რარიგ ცდებიან ის ვაჟებიც, ცხოვრების იოლ გზას რომ ეძებენ მამის თუ სიმამრის მხრებს ამოფარებულნი, სიმღერასა და დროსტარებაში კლავენ საუკეთესო წლებს.

დათოს თავისი ცხოვრებისეული გზა შეცდომებით არ დაუწყია. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მუშაობას შეუდგა. არმიაში წასვლის დრომ რომ მოაწია, მამა არ შეუწუხებია, გინდა თუ არა ან საქართველოში დამტოვე, ან სადმე დიდ ქალაქში მომახვედრე, რომ მალიმალ მინახულოთო. სადაც გაგზავნეს, იქ წავიდა. მისი ნაწილი ავღანეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩავიდა. იქ, შორეულ ქვეყანაში ჩაიტანა სამშობლოს ხატება და პატარა, ყვავილებში ჩამჯდარი გოგონას სურათი. მერე, უკვე საქართველოში ჩამოსულს, გაუხსენებია: ძალიან რომ მომენატრებოდა ახლობლები, ძალიან რომ გამიჭირდებოდა, უცხოეთის ხრიოკ მთაგორებზე ოცნებით ვრგავდი ნაძვსა და კედარს, რცხილასა და ვერხვს, მერე მევე მჯეროდა ჩემი ოცნების, მივუტკბებოდი „ნაცნობ" გარემოს და თქვენი მალე ნახვის იმედიც მიჩნდებოდაო.

— დათო სად არის? — ვეკითხები, თითქოს ახლა მახსენდება ჩემი მოსვლის მთავარი მიზანი.

# ბადით ჩალში



ილბლიანი გამოდგა თევზჭერა.



გვისურვეთ „ცუდი" ამინდი!

წამიც და ბადეში უამრავი თევზი გაიბლართება.







არის საზანი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუმისის ტბის თევზსაშენი მეურნეობის მრიგადა.



— მობრძანდით, — აივანზე გასასვლელ კარს აღებს ნინო და ქვემოთ ვიღაცას ეძებს, თან თავისთვის ამბობს: „ახლა აქ იყვნენ, სად გაქრნენო". მერე ირკვევა, დათოს, როგორც მეხუთე კორპუსის სტუდსაბჭოს თავმჯდომარეს, ბიჭები ჩაუყვანია ეზოს გასასუფთავებლად. იქ რომ მორჩენილან საქმეს, ხეების გასაწმენდად გადასულან. ასე ხშირად იქცევიან. ერიდებათ, საბაგირო გზით მოსულ სტუმარს თავიდანვე არაფერი მოხვდეს თვალში...

საუბარს ვაგრძელებთ. ნინო სიტყვაძუნწობს, მაგრამ მაინც ირკვევა, რომ დათოს საბჭოთა არმიაში სამსახურის დროს მიუღია ორი მედალი და საკავშირო კომკავშირის საპატიო სიგელი. იქვე 1983 წელს მიუღიათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად. ხოლო პარტიის წევრად კი უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღეს.

კარმა გაიხმაურა.

— აი, დათოც მოვიდა, — სიხარულს ვერ ფარავს ნინო. ვეცნობით ერთმანეთს და უხერხულად ჩამოვარდნილ სიჩუმეს ვარღვევ:

— მართალი გითხრათ, თქვენს კართან მოსული, პირველად ბავშვის ფეხსაცმლის ბაკაბუკს და შეკივლებას ველოდი, სად არის პატარა ნათია?

— კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ქართული ანდაზაა, ასე დაგვემართა მე და ნინოს. სულ ვამბობდით, ბავშვი მშობლებთან უნდა იზრდებოდესო და ბებიასთან, დედაჩემთან კი არის უფრო ხშირად,



.დათო დულაშვილი.

— დინჯად იწყებს იგი და თითქოს ფიქრს მიმიხვდაო, აგრძელებს, — რა თქმა უნდა, ამას სტუდქალაქის საყოფაცხოვრებო პირობებს ვერ დავაბრალებთ. ყველაფერი გვაქვს იმისათვის, რომ ქალაქში გასვლა არ დაგვჭირდეს. — ჩვენ აქ ბოსტნეულის ყიდვაც შეგვიძლია და რძის ნაწარმისაც, პურისაც და ყველა სხვა საჭირო პროდუქტისაც, სტუდენტური სასადილოც კარგად მუშაობს, წიგნების შეძენაც ადგილზე შეგვიძლია და ჟურნალ-გაზეთებისაც. საპარიკმახეროც გვაქვს და კლუბშიც ყველაფერს აკეთებენ ჩვენი გართობისა თუ საინტერესო წრეებში მუშაობისათვის, ექიმიც გვყავს და საკუთარი სასწრაფოს მანქანაც...

დიახ, მხოლოდ ერთი რამ აკლიათ ოჯახიან სტუდენტებს, ერთი მთავარი და აუცილებელი რამ — ბაგა-ბაღი. ამჟამად მეხუთე კორპუსის მეორე, ოჯახებისთვის განკუთვნილ სართულზე 25 ბავშვი ჰყავთ. ბაგა-ბაღი რომ იყოს, ყველა მათგანი მშობლებთან იქნება. მარტო ერთ სტუ-

შაბათობაზე



დენტს — მზია დარჩიაშვილს ორი შვილი ჰყავს: ოთხი წლის და თერთმეტი თვის. იგი იძულებულია, ქალაქში ეძიოს ბავშვების თავშესაფარი. აბა წარმოიდგინეთ, რა ძნელია ეს ორშვილიანი დედისთვის, თანაც სტუდენტისათვის.

დათო დულაშვილმა, როგორც სტუდსაბჭოს თავმჯდომარემ და მამამ თხოვნით მიმართა მშართველს

რეზო სხირტლაძეს და მის მოადგილეს ომარ მესხს, გამოეყონ ბავშვებს ოთახი, სადაც დედები მორიგეობით გაუწევენ მეთვალყურეობას ყველა ბავშვს. ეს საკითხი, ვფიქრობ, მალე მოგვარდება და ბაგა-ბაღის ოფიციალურად გახსნამდე, რასაც იანვარში ვარაუდობენ, სტუდენტ მშობლებს ბავშვების იმედიანად დატოვების საშუალება მიეცემათ.

...დათო დულაშვილის ოჯახი მაინც მშობლიური რაიონისკენ იხრება. ნინოს გული იქით მიუწევს სამუშაოდ, სადაც რამდენიმე წლის შემდეგ, ალბათ, დათოც დაბრუნდება. განცხადებაც აქვს დაწერილი წითელწყაროს სამშობიარო სახლში სამსახურის თაობაზე. ეს ბუნებრივიც არის. ახალგაზრდებს იქ ხურთ დამკვიდრება, სადაც ღრმად აქვს გადგმული ფესვი მათ ოჯახებს, სადაც ჰყავთ და-ძმები, ახლობლები, სკოლის მეგობრები...

როგორ წარმოუდგენია დათოს თავისი მომავალი პროფესია?

ამაზე უძნელდება ლაპარაკი. იგი პირველ რიგში საქმის კაცია, მაგრამ ფიქრიც, ოცნებაც ძალიან უყვარს. მან პირნათლად მოიხადა თავისი ჯარისკაცური ვალი, სწავლობს, შექმნა კარგი ოჯახი, თან მუშაობს — შარშან მთელი სასწავლო წლის მანძილზე მეხანძრე იყო. თვეში 85 მანეთიც სტიპენდიასთან ერთად ოჯახს ემატებოდა. წელსაც უკვე შეუდგა შრომას. ყველაფერს აკეთებს, რაც შეუძლია, რომ პირნათლად იყოს თავის ოჯახის, მშობლების, მასწავლებლების, სტუდქალაქის ხელმძღვანელობის წინაშე.

სტუდენტს მზია დარჩიაშვილს უკვე ორი შვილი ჰყავს. ყოჩაღ, მზია!..



სტუდენტთა ქალაქის ნორჩი მცხოვრებლები.



არ იცის, რა არის დალლა, არ იცის, რა არის შესვენება, სამაგიეროდ, კარგად ესმის სხვისი ტკივილი, ივსება სხვისი საწუხარით და საფიქრალით, მხარში ამოდგომაც იცის და მეგობრის გატანაც.

დათოს აზრით, — პირველ რიგში ყველა თავის მოვალეობას უნდა ასრულებდეს პირნათლად. მაგალითად, სტუდქალაქის მეოთხე და მეხუთე კორპუსის მშენებლები ასე რომ მოქცეულიყვნენ და წესიერად მოეწყოთ წყალგაყვანილობა, ამდენი ხარჯები არ დასჭირდებოდა მეოთხე კორპუსის რემონტს, ათასამდე სტუდენტი კი მოუთმენლად ელოდა მის მწყობრში ჩადგომას. ასევე სარემონტოა მეხუთე კორპუსი, რომელშიც 1985 წელს შესახლდნენ. აი, რა შედეგი მოჰყვება საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას.

— რაც შეეხება კანონის დამრღვევთ, ისინი ჩვენს ქვეყანაში დაუსჯელნი არ დარჩებიან, — ამბობს დათო, — მე უფრო იმაზე ვწუხვარ, ჩვენს შორის ისეთი ადამიანები რომ ცხოვრობენ, რომელნიც თითქოს კანონს არ არღვევენ, მაგრამ მათგან მიყენებული სულიერი ტკივილი მძიმე ტვირთად აწევს ჩვენს საზოგადოებას.

სტუდსაბჭოს წევრები: გოჩა გიორგაძე, დათო ვახაძე და გია შაქაროვი კარზე აკაკუნებენ. ახალგაზრდებს კვლავ მოუყრიათ თავი. შესვენება დამთავრდა, დათოს უხმობენ. სწავლა კარგა ხანია დაიწყო, სტუდქალაქის ეზო კი მაინც ჯერ ვერ გამოიყურება ისე, როგორც ბიჭებს უნდათ. თავიანთი ხელით აბეტონებენ სკამებს, უვლიან ვაზს, რგავენ და ელოლიავებიან ნერგებს, ყურადღებას არ აკლებენ ნაძვსა და ტირიფს, ალვის ხეებსა თუ ვერხვებს... თაობა მიდის, თაობა მოდის, 2300 კაციან ამ პატარა ქალაქში ყველა თავის კეთილ ნაკვალევს ტოვებს, ყველა თავისი ფიქრით მოდის და თავისი ოცნებით სტოვებს სტუდენტურ დიდ ოჯახს, მაგრამ თან მიაქვს აქ ნალოლიავები ჯანსაღი აზრი და განცდა.

ასე იქნებიან ნინო და დათო დულაშვილებიც. ნინო სამსახურში ახალი სიცოცხლის დაბადებას აენთება კელაპტრად. ისინი უთუოდ გახდებიან მრავალშვილიანი დედ-მამა. დათო იქნება კარგი, სამართლიანი იურისტი, არც ბებია ელენეს ვენახს მიატოვებს მილარზე, ჰადრაკსა და ფეხბურთსაც ისევ გატაცებით ითამაშებს, მაგრამ არც იმას დაივიწყებს, რომ იგი პირველ რიგში კაცია, რომელმაც იცის დედამიწაზე ადამიანის სიცოცხლის ფასი და უფრთხილდება კიდეც მას.

ნათელა გიორგობიანი



ქუთაისის ძველი უბანი.

# ძველი ქალაქის

გივი მეფისაშვილი

სად ცხოვრობთ? მწვანეყვავილაზე, ბალახვანში, ჭომაში, კახიანურში, ბაკისუბანში, საფიჩხიაზე... ლაკონიურად გიპასუხებენ ქუთათურები ისე რომ, ქუჩის სახელწოდებასაც არ დაგისახელებენ. გიპასუხებენ და უმალ მიგახვედრებენ ქუთაისის ძველი სანახების ადგილმდებარეობას, სადაც უბნების ისტორიული სახელწოდებანი დღემდე შეუნარჩუნებიათ.

წავიდნენ საუკუნენი, სისხლის წვიმებით დალარულ ჩვენს მიწაზე ბედნიერი სიცოცხლე დამკვიდრდა. ცხოვრების ამ სასიკეთო ფერისცვალებას კარგად ამჩნევენ უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრებიც. მოუსმინეთ, რა შესანიშნავად წერს უნგრელი ჟურნალისტი დიერდ ჩაპო: „იშვიათად შეხვდებით ძველი და ახალი ტრადიციების ისეთ ჰარმონიას, ამ სიტყვის ყველაზე კეთილშობილური გაგებით, როგორც საქართველოში, კონკრეტულად ქუთაისში“.

ქუთაისის დიდების მემორიალი ისე შთამბეჭდავად, ღრმად და შინაარსიანად მიესადაგა ქალაქის არქიტექტურულ ანსამბლს, რომ თანდათან ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი მისი ქუთაისის ემბლემად აღიარებისათვის. იქაურობას ისე ვერ ჩაუვლი, რომ ყურადღებით არ შეავლო თვალი გამოჩენილი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის ხელთუქმნელ ნამოღვაწარს — დიდების მემორიალს, რომელიც წარსულის, აწმყოსა და მომავლის შერწყმული გამოძახილია.

ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა თავისი არსებობის მანძილზე სამშობლოს 5 ათასი მაღალკვალიფიციური ინჟინერი მისცა. ახალი კადრების აღზრდის გარდა, ინსტიტუტი დიდ დახმარებას უწევს ქალაქის საწარმოთა კოლექტივებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განხორციელებაში.

მწყობრში ჩადგა ხარისხისა და ტექნიკის სახლები, რომლებმაც დიდად შეუწყვეს ხელი შრომის ნაყოფიერების ზრდის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებას.

ეგნატე ნინოშვილის სახელობის ბაღი დაამშვენა რევოლუციის გამარჯვებისათვის თავდადებულ რაინდთა ობელისკმა. ქუთათურები პატივს მიაგებენ რუსი და ქართველი ხალხების შვილების ივანოვისა და მარდალეიშვილის ხსოვნას, რომლებიც 1921 წლის 10 მარტს მენშევიკებმა მხეცურად აწამეს და დაწვეს მუხნარის ტყეში.

დიდების მემორიალი.



ქალაქის ცენტრში, ყოფილი „გრანდ-ოტელის“ შენობაში გაიხსნა ხელოვნების ნიმუშთა გალერეა, რომლის მდიდარი ექსპონატები უკვე ნახევარ მილიონზე მეტმა კაცმა დაათვალიერა.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ის ღონისძიებანი, რაც ქალაქის შემდგომი კეთილმოწყობისა და მისი იერის გაუმჯობესებისათვის არის გათვალისწინებული.

ცნობილია, რომ ქუთაისი წარსულში — ტიპობრივი წვრილბურჟუაზიული ქალაქი — შენდებოდა ყოველგვარი არქიტექტურული პრინციპების დაცვის გარეშე. ძველი ქუთაისის ცენტრი უნდა შეგვენახა როგორც მუზეუმი, ქალაქის ზრდა-განვითარება კი წარგვემართა სამხრეთისაკენ, რაც მას რკინიგზის მთავარ მაგისტრალზე გამოიყვანდა.

ნაცვლად იმისა, რომ ქალაქისა და რკინიგზის მთავარ მაგისტრალებს შორის დაუსახლებელი სივრცე შეგვევსო და ქუთაისი ჩიხიდან გამოგვეყვანა, ათეული წლების მანძილზე ერთი ნამცეცა, სწორკუთხა ადგილზე—დღევანდელი ბულვარის გარშემო ვტრიალებდით. ბაღის ირგვლივ ვაშენებდით ინდივიდუალურ თუ საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებს.

ბოლო წლებში პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა ქალაქის სამხრეთით განაშენიანებისათვის. დღეს ქუთათურებისგან ხშირად გაიგონებთ,—ახალ ქუთაისში მივდივართ. ამ რაიონში აიგო დიდმნიშვნელოვანი საწარმოები და საზოგადოებრივი ნაგებობანი — ელექტრომექანიკური ქარხანა, წისქვილკომბინატი, საკონდიტრო ფაბრიკა, პურის, რძის, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების კომბინატები, ბამბის საქსოვი გაერთიანება, ახალი საცხოვრებელი კვარტალები, ავტოსადგურები და ა. შ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის დადგენილება ქ. ქუთაისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვითი ზონის შექმნის შესახებ მნიშვნელოვანი დოკუმენტია ჩვენი საუკუნის ქუთაისის ცხოვრებაში.

დაიწყო ისტორიული ქალაქის უკეთ წარმოჩენა, ჩამოყალიბდა ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვითი ზონის ინსპექციისა და რესტავრაცია-ადაპტაციის სექტორი. შეუფერხებლად მიმდინარეობს როგორც საპროექტო სამუშაოები, ისე მშენებლობები. წელს რუსთაველის პროსპექტზე დამთავრდა ყოფილი „ყაზარმის“ რესტავრაცია, კინო „კომუნასთან“ გაკეთდა ახალი გადასასვლელი და შეიქმნა იმერეთის მეფეთა რეზიდენციის — „ოქროს ჩარდახის“ წარმოჩენის მკაფიო პანორამა.

მალე განხორციელდება ყოფილი კლასიკური გიმნაზიის ფასადის რესტავრაცია; მიმდინარეობს საფიჩხიის მოედნის მშენებლობა, რომელიც შთამბეჭდავ სახეს მისცემს ქალაქის ამ უძველეს უბანს.

წარმატებით მიმდინარეობს თეთრ ხიდთან მდებარე ისტორიული აბანოს რესტავრაცია. აღდგენის შემდეგ, აბანოს ტერიტორიაზე მწყობრში ჩადგება კეთილმოწყობილი ჰიგიენის სახლი.

ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი უკვე სარესტავრაციო სამუშაოების ხარაჩოებშია.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად რესტავრაცია-ადაპტაციის სექტორი აქტიურ მუშაობას ეწევა ძველი მასალების, ფოტოებისა და ყველა სახის ისტორიული ღირებულების ნივთების შესაგროვებლად.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისი. ცენტრი.

# ახალი რიტმები

ახალ სიცოცხლეს იძენენ ჩვენი ქალაქის ძველი სანახები და უბნები. ტემპშეუნელებლად, მასშტაბურად მიმდინარეობს მთელი ქუთაისის განაშენიანება, კეთილმოწყობა, გამშვენიერება. ორი წლის წინათ ქალაქს შეემატა მეექვსე მიკრორაიონი, ახალი საშუალო სკოლა, ჭავჭავაძის პროსპექტზე მუსიკალური მადრევანი, კინო „კომუნასთან“ ვასილ ამაშუკელის ბარელიეფი, სპორტული კომპლექსი, მარქსის ქუჩაზე 14-სართულიანი ექსპერიმენტული სახლი, კლინიკური საავადმყოფოს ახალი კორპუსი, 20 ახალი ბაღი და სკვერი, მუშაობას შეუდგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის სამეცნიერო ცენტრი. შარშანწინ მესხიშვილის თეატრის სკვერში საზეიმოდ გაიხსნა ქართული სცენის დიდი რეფორმატორის კოტე მარჯანიშვილის ძეგლი, რომლის ავტორია რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი გიორგი ნიკოლაძე.

საავტომობილო ქარხნის კონვეიერი.



...ცისმარე დღეს მხნედ ილვიძებს საქართველოს ძველთაძველი ქალაქი. საავტომობილო ქარხნის გიგანტური კორპუსებიდან განუწყვეტლივ გადიან მძლავრი ავტომატარებლები, რომლებსაც ამშვენებს წარწერა: „კაზ“ 44-45. თუ წინათ ქალაქის ტრანსპორტს მხოლოდ რამდენიმე ეტლი შეადგენდა, დღეს ქუთაისში გამოშვებულ ავტომობილებს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში შეხვდებით.

ეტლი სამუზეუმო ექსპონატად დარჩა. რაშივით მიქრის ახალი ცხოვრება ქუთაისის ძველ ქუჩებში და ნათელი სხივებით აცისკროვნებს ხვალინდელ დღეს.



ქუთაისელი ავტომშენებლები.

# ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვახტანგ აბაშმაძე,**
თბილისის უნივერსიტეტის სახელმწიფო სამართლის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი.

სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ილია ჭავჭავაძე დაუღალავად იბრძოდა შრომელი ხალხის უკეთესი მომავლისათვის, სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნულ-პოლიტიკური ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლებისათვის.

გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ილიამ უკვე განსაზღვრა ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობის ძირითადი ამოცანა: „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს“. მაგრამ ამ დროისათვის მას ჯერ კიდევ არ გააჩნდა ასეთივე ნათელი პასუხი კითხვაზე, თუ რა ფორმით უნდა „გვეყუდნეს“ თავი ჩვენი.

1905 წლის რევოლუციამ გამოაცოცხლა 70 წელს მიღწეული ილია, რომელიც „ენის კვნეტით“ ლაპარაკის ნაცვლად გაბედულად გამოდის ცარიზმის წინააღმდეგ და აშკარად მოუწოდებს მისი დამხობისაკენ. მან დაინახა საკუთარი პოლიტიკური იდეალის განხორციელების შესაძლებლობანი. იგი ამტკიცებს, რომ „რევოლუციას კაცმა პირი იქით უნდა უქნას, საითაც ჯერ არს“.

რევოლუციამ მთელ რუსეთში და, კერძოდ, საქართველოში გამოაცოცხლა საზოგადოებრივი აზრი, პოლიტიკური ძალები ამუშავებენ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ამოცანებს, ყალიბდება ახალი პარტიები, რომლებიც არსებულ რევოლუციურ სიტუაციაში განსაზღვრავენ სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნულ-პოლიტიკური ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლების ძირითად მიმართულებებს და ა. შ.

როგორც ცნობილია, 1905 წლის რევოლუციამდე ილია არც ერთ პარტიას არ ეკუთვნოდა. იგი უარყოფდა საქართველოში საზოგადოების მტრულ კლასებად დაყოფას და კლასთა ბრძოლას, მტკიცედ იდგა ერის მთლიანობისა და მისი ინტერესების საერთო ნიადაგის თვალსაზრისზე. ეს აზრი ილიას არც ამ რევოლუციის ეპოქაში შეუცვლია, მაგრამ მეფის თვითმპყრობელობის მიერ გამოცემული 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ მან გადაწყვიტა არა ერთი რომელიმე კლასის, არამედ მთელი საზოგადოების ინტერესების გამომხატველი პარტიის შექმნა. ამ პარტიას, როგორც მისი პროგრამიდან ჩანს, თავიდანვე ეწოდებოდა „ქართველ პროგრესისტთა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, მაგრამ მოგვიანებით, როცა რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრტიული პარტიის 1906 წლის იანვრის II ყრილობაზე მიღებულ პროგრამაში გარკვევით აღინიშნა რუსეთში მცხოვრები ცალკეული ხალხების კულტურული თვითგამოყოფისა და ადგილობრივი ავტონომიის უფლებების თაობაზე ილიამ პარტიის სახელწოდება „ეროვნულ-დემოკრატიული“ თავისი ხელით ჩაასწორა „კონსტიტუციურ-დემოკრატიულით“. პარტიის პროგრამის სახელწოდებაში ეს ცვლილება ადვილი ასახსნელია. 1905-1907 წლებში ილია იბრძვის საქართველოს ფართო ავტონომიისათვის და ეძებს მოკავშირეებს როგორც ადგილზე, ასევე რუსეთში. ამ პერიოდში რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია დიდი გავლენით სარგებლობდა, მისი პროგრამა აღიარებდა რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ზოგიერთი ხალხისათვის ადგილობრივ ავტონომიას და ამიტომ შეიძლებოდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში ასეთი გავლენიანი პარტია მოკავშირე გამხდარიყო.

ილიას მიერ დაწერილი „ქართველ პროგრესისტთა ეროვნულ-დემოკრატიული (კონსტიტუციურ-დემოკრატიული) პარტიის“ პროგრამა ამჟამად სრულადაა გამოქვეყნებული (ჟურნალი „ცისკარი“, 1985 წ. № 12). იგი ერთადერთი ძირითადი დოკუმენტია, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმ სოციალურ-ეკონომიკურ და ეროვნულ-პოლიტიკურ გარდაქმნებზე, რასაც ილია ითვალისწინებდა 1905-1907 წლებში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ილიას მიერ შედგენილი პროგრამა არსებითად განსხვავდება რუსეთსა და საქართველოში არსებული ყველა ამდაგვარი პარტიის პროგრამებისაგან. ილიას მიერ შედგენილი „ქართველ პროგრესისტთა ეროვნულ-დემოკრატიული (კონსტიტუციურ-დემოკრატიული) პარტიის“ პროგრამის ძირითადი მოთხოვნაა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა ეროვნული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებით. ამ პროექტის მიხედვით უნდა შექმნილიყო ქართული საკანონმდებლო დაწესებულება — პარლამენტი, რომელიც დაადგენდა კანონებს საქართველოსათვის: „ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია, მოვითხოვოთ, რომ კანონები, რომლებიც ახლა პეტერბურგში იწერება (რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნისათვის), აქვე, ადგილობრივ იწერებოდეს... სასურველია, რასაკვირველია, რომ ჩვენი ქვეყნისათვის კანონები აქვე, ჩვენში იწერებოდეს, მაგრამ ამით არა გვეშველება რა. მე ვთქვი და კიდევ ყველგან ვიტყვი: „ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს ჩვენის ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისაგან“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 265).

ეროვნულ-საკანონმდებლო ხელისუფლებასთან ერთად ილია მოითხოვს ქართულ აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომელიც განასახიერებს ერთიან ცენტრალიზებულ ერობად გაერთიანებული თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების, ბათუმის ოლქის, სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგების ერობებს ქ. თბილისში დაარსებული ცენტრალური ერობის მეთაურობით. ასევე უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი სასამართლო, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და არჩევით მოსამართლეთა ინსტიტუტები, რომელთა სამუშაო ენა ქართული იქნება. იგი განახორციელებს ეროვნულ სასამართლო ხელისუფლებას.

ამ პროგრამის პოლიტიკური მოთხოვნების განხორციელებისათვის 1905-1907 წლებში ილია აქტიურად იბრძოდა როგორც რუსეთში სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროში, ასევე საქართველოში.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია პერიფერიებში და მათ შორის თბილისშიც ცდილობს თავისი გავლენის გავრცელებას და ამ მიზნით მოსკოვიდან თბილისში ჩამოდის მისი წარმომადგენელი. მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ კიდევაც შექმნილა რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის თბილისის ბიურო, რომელსაც თავმჯდომარეობდა გ. თუმანოვი. 1906 წლის 5 თებერვალს შედგა ამ პარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 70 წევრი, აქედან 6 ქართველი, უმრავლესობა კი სხვა ეროვნებების წარმომადგენლები იყვნენ.

რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის თბილისის რუსული ორგანიზაციისაგან დამოუკიდებლად ქართველებიც ცდილობენ ქართული კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის შექმნას. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1906 წლის 2 თებერვალს წერდა: „თებერვლის ხუთისათვის ტფილისში ადგილობრივ კონსტიტუციონალ-დემოკრატების პირველი საზოგადო კრებაა დანიშნული. რამდენადაც ვიცით, ეს ქართველი კონსტიტუციონალისტების კრება არ არის: ქართველები საკუთარ კონსტიტუციონალ-დემოკრატთა პარტიის შექმნას აპირობენ, თუმცა გულახდილად უნდა ვთქვათ, როგორღაც მეტის-მეტად გაჭიანურდა ამ ქართულის პარტიის შექმნა“. ამ ქართული კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა გამოქვეყნდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ჯერ კიდევ 1906 წლის 18-19 იანვარს სახელწოდებით: „ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა“. იგი შედგენილი იყო ქუთაისში. გაზეთი წერდა, რომ „ჯერჯერობით ამის მეტი სრულიად არაფერი არ ვიცით თვით ამ ახალის პარტიის შესახებ. პარტიის არსებობა ჯერ-ჯერობით მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ იგი თავის პროგრამის გავრცელებისათვის მეცადინეობს“.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში საქართველოში დაწყებული პარტიული მოძრაობის ისტორია საგანგებო შესწავლას მოითხოვს. ამჯერად მხოლოდ იმის აღნიშვნით უნდა დავკმაყოფილდეთ, რომ ილიას მიერ შედგენილი „ქართველ პროგრესისტთა ეროვნულ-დემოკრატიული (კონსტიტუციურ-დემოკრატიული) პარტიის“ პროგრამაზე და ამ პროგრამის მიხედვით პარტიის შექმნაზე მსჯელობა მალე შეწყდა.

როგორც ჩანს, ილიას მიერ შედგენილი პროგრამის მიხედვით პარტია არ შექმნილა, რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის საფუძველზე კი ჩამოყალიბდა „ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია“. მიუხედავად ამისა, ილიას ხელით დაწერილ პროგრამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტია, რომელიც სრულ წარმოდგენას გვაძლევს 1905-1907 წლებში ილიას მსოფლმხედველობაში მომხდარ ევოლუციაზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ილიას მიერ შედგენილ „ქართველ პროგრესისტთა ეროვნულ-დემოკრატიული (კონსტიტუციურ-დემოკრატიული) პარტიის“ პროგრამაში, რომელსაც საფუძვლად უდევს მის მიერ შემუშავებული „რეალური პოლიტიკის“ კურსი, მთელი სისრულით აისახა რუსეთთან საქართველოს შეერთების შედეგად გაუქმებული ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უჩა ჯაფარიძე 80

ქართველ საბჭოთა ფერმწერს და გრაფიკოსს, სსრ კავშირის სახალხო მხატვარს უჩა ჯაფარიძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა, ჟურნალ „დროშის" რედაქცია გულითადად მიესალმება ძვირფას იუბილარს, ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრს, უსურვებს მას ჯანმრთელ სიცოცხლეს და მრავალ შემოქმედებით სიხარულს.

საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის მრავალჟანრულ შემოქმედებაში აღსანიშნავია ფართო მასშტაბის ტილო — „საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში 1901 წელს". კოლორიტითა და კომპოზიციის მთლიანობით გამორჩეული ეს სურათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის საქტო დარბაზს ამშვენებს. მხატვარი ქმნის მრავალფიგურიან კომპოზიციას და ოსტატურად იძლევა სიუჟეტური ქარგის დინამიურ განვითარებას. დემონსტრანტთა მოქმედება ვითარდება ძველი თბილისის ერთ-ერთ მთავარ მოედანზე, სასულიერო სემინარიის წინ. მაყურებლის თვალწინ არიან მუშები, გლეხები, გიმნაზიელები, ძველი თბილისის მოქალაქეები, წინა პლანზეა ახალგაზრდა ი. ბ. სტალინი, რომლის მოძრაობაც მიგვანიშნებს, რომ იგი დემონსტრაციის ხელმძღვანელია. სურათის მარცხენა მხარეზე, რომელზედაც ჭაბუკი სტალინია გამოსახული, დემონსტრანტების მთელი არმიაა. აქ თითქმის ყოველი პერსონაჟი ინდივიდუალურად ჩამოყალიბებული მხატვრული სახეა და თითოეულს საკუთარი ფსიქოლოგიური დატვირთვა გააჩნია. შევხედოთ თუნდაც ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ ქალს, რომელიც მარცხენა მხარის წინა პლანზე ზურგითაა გამოსახული; საინტერესო ცხოვრებისეული დამაჯერებლობით არის დახატული მხიარული გამომეტყველებით აღსავსე ახალგაზრდა ქალი; ჯანსაღი სულისა და ფიზიკური ძალის მაჩვენებელია წელში მოხრილი მუშის ფიგურა, რომელმაც ეს-ესაა ფილაქნიდან ქვა აიღო და მზადაა პოლიციელებთან შესაჭახებლად; ცენტრში, მეორე პლანზე, მამაკაცის ფიგურაა, რომელსაც დროშა აუფრიალებია და გამარჯვების რწმენითაა გასხივოსნებული.

სურათის მარჯვენა მხარეზე მხატვარი პოლიციელთა სახეებს იძლევა. ესაა შავი ძალმომრეობის გამომხატველი ძალა, რომლის ბოლო დამარცხებაა.

მხატვარი მარტო დემონსტრანტების ცოცხალ სურათს კი არ იძლევა, არამედ იგი ორგანულად უხამებს შექმნილ სიტუაციას, ქალაქის მაჯისცემას. უკანა პლანზე ნაჩვენებია ქართულ აივანზე შეკრებილი ძველი თბილისელები, რომლებიც არა მარტო შეშფოთებული სახით გადმოსცქერიან დემონსტრაციას, არამედ ერთ-ერთი მათგანი ლამის არის აივნიდან გადმოვარდეს. მის მთლიან მოძრაობაში მოჩანს დემონსტრანტებისადმი მხარდაჭერა და მოძალადეებისადმი მუქარა.

კომპოზიციის იდეური, ნათელი გადაწყვეტა ერთიანად ერწყმის მთელი სურათის ტონალობას. კოლორიტულადაა ნაჩვენები ძველი თბილისის ხუროთმოძღვრება, იმდროინდელი ეპოქისათვის დამახასიათებელი ჩაცმულობა; თავისებური ლირიკა შეაქვს აივანზე გადმოკიდულ თუშურ თექას.

ამრიგად, მთელი სურათი თითქოს ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი. უდიდესი ძალა და ერთობა იგრძნობა დემონსტრანტებში. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელები თავით ფეხამდე შეიარაღებულნი და ცხენებზე ამხედრებულნიც კი არიან, დემონსტრაციის მონაწილეებს მაინც გამარჯვების მტკიცე რწმენა ამოძრავებთ. აქ მხატვარი ერთი ადამიანის, კერძოდ, დემონსტრაციის ხელმძღვანელის პირველობას კი არ მიაპყრობს ყურადღებას, არამედ ხალხის, მასის გადამწყვეტ ძალას. სწორედ ამან განაპირობა სურათის გამარჯვება და მისი საყოველთაო აღიარება.

ნაზი ელიაშვილი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

## პიესა „სარკოფაგის“ სცენები

ამ პიესის სიუჟეტი ჩერნობილში დაიბადა. როგორ ვუამბო ადამიანებს ის, რაც ვნახე, რაც გადავიტანე? როგორ შევაგრძნობინო ის ტკივილი, ჩემს სულს რომ მსჭვალავს? დავასკვენი, რომ ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ თეატრში, სადაც მაყურებელი ყოველთვის მონაწილე ხდება მოვლენებისა, სცენებისა, თუ რასაკვირველია, სპექტაკლი გულახდილი და პატიოსანია.

ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვლადიმერ გუბარევი

რადიაციული უსაფრთხოების ინსტიტუტის ექსპერიმენტული განყოფილება. დიდი ჰოლი, რომელშიც დგას რბილი, მოხჭრხებული სავარძლები, — დილის ოპერატიული თათბირები, ჩვეულებრივ, აქ იმართება. სცენის სიღრმეში განლაგებულია ბოქსები. ყოველ ნახევრადგამჭვირვალე კარს ნომერი აწერია.

განგაშის სიგნალი. კაშკაშით ინთება წითელი ნათურები, შორიდან მოისმის სირენის ხმა.

**ანა პეტროვნა.** გესმით, დიახ, მე ვარ... შეუძლებელია!.. რამდენი?.. წარმოუდგენელია!.. ჩვენ სასწავლო განგაში გვეგონა... კი, სამივე აქაა... კეთილი!.. მოასწრებენ!...

ნელა გამოდის ჰოლში. დუმს. ყურადღებით ავლებს თვალს იქ მყოფთ.

...ატომური სადგურის მეოთხე ბლოკში ავარია მოხდა. ძლიერი ხანძარი გაჩნდა. რამდენიმე ათეული კაცი დაშავდა. ზოგიერთმა სხივური დამწვრობა მიიღო. რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი აქ იქნებიან. თქვენ (მიმართავს ვერას, ნადიას და ლუბას) მობილიზებული ხართ, სპეცტანსაცმელი მეზობელ შენობაშია. სწრაფად გადაიცვით და აქეთ მობრუნდით. თქვენ (ბესსმერტნის ეუბნება) თქვენთან დარჩით. ჯერ ნუ გამოხვალთ.

**ვერა.** მაგრამ ჩვენ...

**ანა პეტროვნა.** (აწყვეტინებს). ბრძანება შეასრულეთ და განსჯა-გარჩევას მოეშვით!

**ვერა.** ჩვენ, ალბათ, ვერ შევძლებთ...

**ანა პეტროვნა.** შეძლებთ! სხვა ჩვენ არავინა გვყავს. (ვერა რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ ანა პეტროვნა ყურადღებას არ აქცევს და ტელეფონთან მიდის. ყურმილში ლაპარაკობს). კონტროლის სისტემა მოამზადეთ. დოზები განსაზღვრული არაა, უფრო გულისყურით იყავით. ჩვენ ჯერ ოთხნი ვართ, მაგრამ მალე სერგეევიცა და პტიცინაც მოვლენ. პაციენტებთან ერთად მოვლენ და შემოწმდეს საოპერაციოების მზადყოფნა. შესაძლოა, უცბად დაგვჭირდეს... ერთი სიტყვით, ნომერ პირველი განგაშია!... არა, ომი არაა, არა... ატომური რეაქტორის აფეთქებაა. არა, არა-მეთქი! ბირთვული აფეთქება არაა, რეაქტორში წყალბადის აფეთქებაა.

წითელი ფონი სულ უფრო და უფრო ბარჩხალდება. მტკიცე ნაბიჯით შემოდის სერგეევი. მის ქვალდაკვალ ორ თეთრხალათიან მამაკაცს საკაცით მამაკაცი შემოყავს.

**სერგეევი.** მეხუთე ბოქსში შეიყვანეთ (ანა პეტროვნას). უგრძნობლადაა. პირველი დახმარება აღმოუჩინე, ყველაფერი აუცილებელი გაკეთებულია.

№ 5 ბოქსის კარი იხურება. შიგნით შუქი ინთება. შედის შოფერი. მასთან ინსტიტუტის თანამშრომლები არიან.

**სერგეევი.** ნომერი ოთხი ბოქსი.

თანამშრომელი ბარათს აწვდის. სერგეევს ათვალიერებს.

**შოფერი.** იქ ამხანაგი გენერალი დავტოვეთ (კარისკენ უთითებს). უნდა დაგელოდოთ?

**სერგეევი.** თქვენ როგორ გრძნობთ თავს?

**შოფერი.** ნორმალურად.

**სერგეევი.** თავბრუსხვევა გაქვთ?

**შოფერი.** მაშინვე გამიარა... სულ რაღაც წუთი მიბრუოდა... ასე მეგონა... მერე რა უნდა გავაკეთო?

**ანა პეტროვნა.** ვეროჩკა, გააცილეთ, გეთაყვა, ამხანაგი. დაისვენოს და ტანსაცმელი გამოუცვალეთ... (შოფერს). თქვენ ერთხანს ჩვენთან მოგიწევთ დარჩენა. ჯერ გამოგიკვლევთ.

**ვერა.** გთხოვთ (შოფერს ხელმკლავს უყრის და № 4 ბოქსისკენ მიდიან).

**ანა პეტროვნა.** სახის მსუბუქი გაღიზიანებაა. რამდენია?

**სერგეევი.** ვერ გეტყვით, თავის უფროსს — შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალს ელოდა მეოთხე ბლოკთან. სამი საათი ელოდა. იქ კი ზოგ ადგილას საათში ხუთას რენტგენზე მეტია... მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ მანქანიდან არ გადმოსულა... ერთი სიტყვით, ჯერ არ შემიძლია განვსაზღვრო, ვიცი, რომ ბევრია.

**ნადეჟდა.** იქ რატომ იდგა?

**სერგეევი.** უფროსს ელოდებოდა. ასეა მიღებული.

**ნადეჟდა.** მაგრამ იქ ხომ რადიაციაა?

**სერგეევი.** რადიციას, ჩემო კარგო, არც სუნი აქვს და არც ფერი! უფროსობა კი მოვლენათა შუაგულში ყოფნას დაეჩვია, ასეთი ამბავია, ჩემო კარგო, ასეთი.

**ნადეჟდა.** მაგრამ...

**სერგეევი.** აი, სწორედ რომ „მაგრამ“. შავი „ვოლგით“ პირდაპირ რეაქტორს ადგებიან.

**ნიუმოვი.** მაგრამ, შესაძლოა, მან არ იცოდა, რომ...

**სერგეევი.** მას ევალება ამის ცოდნა.

ბოქსიდან გამოდის დეიდა კლავა.

**დეიდა კლავა.** ქოხში უნდა წავიდე... დაშკა მოწველილი არაა.

**ლუბა.** ნუ ღელავთ. უთქვენოდ მიხედავენ.

**დეიდა კლავა.** ფრინველიც დასაპურებელია.

**ლუბა.** თქვენ განა მარტო ცხოვრობთ?

**დეიდა კლავა.** მე და დაშკა ვართ. ის კი მოწველილი არაა. ჩემი ფასი აქ...

**ლუბა.** ყველაფერი რიგზე იქნება. წამოდით, დაისვენეთ.

**დეიდა კლავა.** დაშკა უნდა მოვწველო... ცური დაებერება... დამელუპება დაშკა, დამელუპება.

**ლუბა.** (ძალით მიჰყავს ბოქსისკენ). მე დავურეკავ, ვთხოვ, რომ ჩამოწველონ, აუცილებლად დავურეკავ.

**დეიდა კლავა.** ფრინველიც დააპურონ. საკენკი საკუჭნაოშია... დაშკა დამიავადდება. ეგლა მყავს ამქვეყნად, ბებერი და მოფამფალებულია, მაგრამ მარჩენს კი. დღეში თითქმის ვედროს იწველის. თხოვე, ჩემო კარგო... ჰმევა და დარწყულება, არ ვიცი, შეიძლება?.. გამიგონია... აბზინდაც შავი იქნებაო... და მწარე მდინარეები იდენენო... ვაიმე, რაღაც ვერა ვარ, ვერა.

**ლუბა.** ჩაწექით, გთხოვთ (დეიდა კლავა გადის). ნადია სტეპანოვნა, უნდა დავრეკოთ.

**პტიცინა.** საჭირო არაა დარეკვა, არაა საჭირო...

**ლუბა.** შავი აბზინდა... მწარე მდინარეები. ბოდავს?

**პტიცინა.** აპოკალიპსია. ასეთ დროს ღმერთიც გაგახსენდება და ეშმაკიც.

**ლუბა.** ეგ აქ როგორ მოხვდა?

**პტიცინა.** რეაქტორიდან გადმოიფრქვა მტვერი და ნამსხვრევები... ექვსი კილომეტრის ზოლზე. ეგ ბოსტანში ფათურობდა. ალიონიდანვე. მისი დაშკაც ახლომახლო ძოვდა, ჰოდა, ორივე იმაში მოჰყვა... ქათმებიც... მაგრამ, რომ იცოდე, ქათმები ძალიან ამტანნი არიან. გაუგებარია რატომ, მაგრამ მათთვის მხოლოდ ორმოცდაათჯერ მეტი დოზაა საშიში, ყველა და ყველაფერი, რაც ცოცხალია — ადამიანი, ხეები, ბალახი — იღუპება, ქათმები კი ვითომ არაფერი! მხოლოდ ძალზე აგრესიულნი ხდებიან. ბოცვერებსაც კი ესხმიან თავს, ისე უჩაჩქუნებენ თავში, ლომ-არწივები გეგონებათ...

**ლუბა.** საშინელებაა.

**პტიცინა.** ნამდვილად საშინელებაა.

**ლუბა.** მე დაშკაზე მაინც დავრეკავ.

**პტიცინა.** არაა საჭირო, ჩემო გოგონი. იმას ნურაფერს ეტყვი... დაშკა და სხვა მისთანა ცხოველ-ფრინველი იმ ზონაში მოსპობილია. ასეა საჭირო...

ბოქსიდან გამოდის გენერალი.

**გენერალი.** ძალზე ცუდი წყალია თქვენთან. თავი დავიბანე, დავივარცხნე და სავარცხელს თმები არ მოჰყვა!.. მოწამლული უნდა იყოს, ყურადღება მიაქციეთ.

**პტიცინა.** (მოქანცულია) არის ყურადღება მივაქციოთ.

სამორიგეო ოთახიდან გამოდის ანა პეტროვნა.

**ანა პეტროვნა.** (პტიცინას). მე ჩემთან ვიქნები. ცოტას მოვისვენებ და მოვალ. თუ რამე იყოს, დამირეკეთ...

• • •

№ 2 ბოქსში შუქი ქრება. ბნელა, გამოჩნდება პტიცინა, გაჭირვებით გადის სამორიგეოში, მაგიდასთან ჯდება, წერს. ბესსმერტნი კვალდაკვალ შემოჰყვება.

**ბესსმერტნი.** რაო, ლიდია სტეპანოვნა, ცუდად ხომ არა ხართ?

**პტიცინა.** მორჩა.

ბესსმერტნი ქუდს იხდის. შემოდის ლუბა. ის ტირის. დოზიმეტრისტი (ყვირის). არ მი-ნდა! (თავის ბოქსისკენ გავარდება).

**პტიცინა.** ლუბუშკა, დამამშვიდებელი საშუალება მიეცით...

ლუბა ცრემლს იწმენდს. № 6 ბოქსში შედის.

**გენერალი.** (ფიზიკოსს). ეს სულ თქვენგან მოდის — ფიზიკოსებისგან. ატომური ენერგიაო — ცივილიზაციის მომავალიო... ატომური ბომბები, რეაქტორები, სადგურები... მოიგონეს, რაღა!

**ფიზიკოსი.** რატომ ბრძანებთ?... რეაქტორი სრულქმნილებაა, ის საოცრებაა! მაგრამ ხომ არ შეიძლება მისი ასე...

**გენერალი.** როგორ?

**ფიზიკოსი.** მომიტევეთ, გეთაყვა, მაგრამ არ შე-

იძლება რეაქტორს მოვექცეთ... დაუდევრად. მას ყველაფრის მოთმენა არ შეუძლია. ბევრის მოთმენა შეუძლია, მაგრამ ყველაფრისა — არა. ადამიანისა არ იყოს.
**გენერალი.** თქვენ რას გულისხმობთ?
**ფიზიკოსი.** რასაკვირველია, შეიძლება შევცდე, მაგრამ, თუ გამოთვლებს ვერწმუნებით, დაცვის ავარიული სისტემა გამოთიშული იყო. გამოდის, რომ იყო კაცი, ვინც მისი გამოთიშვის ბრძანება გასცა.
**გენერალი.** ვინ იყო ის კაცი?
**ფიზიკოსი.** სამწუხაროდ, მიჭირს გიპასუხოთ...
**შოფერი.** რომელიმე უფროსი იქნებოდა...
**ფიზიკოსი.** შესაძლოა, მართალიც იყოთ. მაგალითად, არც ერთი ოპერატორი არ მისცემდა თავის თავს უფლებას, რომ ამგვარი გადაწყვეტილება მიეღო.
**ბესსმერტნი.** ალბათ, სადგურის უფროსმა თუ ბრძანა?
**ფიზიკოსი.** ასეთი თანამდებობის პირს შეუძლია ბრძანების გაცემა, მაგრამ უნდა ესმოდეს, რა შეიძლება ამას მოჰყვეს.

№ 5 ბოქსი იღება. შემოდის ატომური ელექტრო სადგურის უფროსი.

**აეს-ის უფროსი.** მე აეს-ის უფროსი ვარ. და ასეთი ბრძანება არ გამიცია!

სცენა თანდათან იძირება სიბნელეში. უკან კაშკაშა ალი სულ უფრო და უფრო ძლიერ გიზგიზდება.

* * *

იქაურობას ათვალიერებს დოზიმეტრისტი, შენიშნავს, რომ ლუბა მისი მეზობლისკენ მიემართება.

**დოზიმეტრისტი.** გამოვა?
**ლუბა.** წევს, დუმს, კედელს შეჰყურებს.
**დოზიმეტრისტი.** გამოუძახე, ჩემო კარგო. მინდა ვუთხრა, რომ არ ვიცოდი, სახელდობრ, რამდენი იყო, ნაკლები მეგონა, არადა, იმ ორასი...
**პროკურორი.** ორასი... სად?
**დოზიმეტრისტი.** (გამოცოცხლდება). ტრანსფორმატორებთან. მაგრამ მთელი აპარატურა სკალას გადასცდა. ოცზე მეტი თუ იქნებოდა, არ მეგონა.
**პროკურორი.** თქვენ მდუბლირებელი აპარატურა არა გქონდათ?
**დოზიმეტრისტი.** ხელსაწყოებზე მეკითხებით? საიდან... რაც გვქონდა, სულ შეკეთებულ-შემოკეთებული იყო, თანაც, ოცდაათი წელი მაინც იჯახირეს...
**პროკურორი.** სადგური ხომ ახალია, სულ ათი წლისაა.
**დოზიმეტრისტი.** ჩვენ არაფერ შუაში ვართ... ის გადმოგვეცა, რაც სადღაც ეყარა საწყობებში. რომ არ ჩამოეწერათ, ჩვენ გამოგვიგზავნეს.
**სერგეევი.** რაღაც ვერ დამიჯერებია.
**დოზიმეტრისტი.** ვიდრე უბედურება არ დატრიალდა, საქმეს, რაც გვქონდა, იმითაც თავს ვართმევდით. აქედან-იქიდან შევაკეთ-შემოვაკეთებდით და, მიდი! რა გვეჩქარებოდა, ერთი! წესრიგი კი გვქონდა, გვქონდა! თვით მოსკოვიდან რამდენჯერ ჩამოვიდა კომისია შესამოწმებლად. ჩვენთან ყოველთვის წესრიგია. გადახვევის ერთი შემთხვევაც არ ყოფილა, იმიტომ რომ გვამოწმებდნენ... არ ეგონათ, თუ ასეთი უბედურება დატრიალდებოდა.
**პროკურორი.** გამოდის, რომ თქვენი აზრითაც აფეთქება იყო? თვითონ, თქვენი თვალით თუ ნახეთ?
**დოზიმეტრისტი.** ასე ლაპარაკობენ. თვითონ არ მინახავს.

შემოდიან ოპერატორი და ლუბა.

**ოპერატორი.** მე კი ვნახე!
**დოზიმეტრისტი.** არ ვიცოდი მე. სკალას გადაცდა...
**ოპერატორი.** თუ კაცი ხარ, ნუ წაიღე ტვინი იმ შენი მრიცხველებით! შენ თუ არ იცოდი, მე ვიცოდი, გავარვარებულ გრაფიტს ვხედავდი. რეაქტორული დარბაზის იატაკზე ნაჭრები ეყარა. ესეთი კაშკაშა-ლურჯი ნაჭრები იყო და ბზინავდნენ, კიაფობდნენ. (დოზიმეტრისტს), შენი მრიცხველების გარეშეც ცხადი იყო, რომ ოცი და ორასი კი არ იყო, ათასამდე იქნებოდა!
**დოზიმეტრისტი.** ხედავდი, იცოდი და წახვედი?
**ოპერატორი.** ტრანსფორმატორებს ყველა ზღუდარი დაუსკდა. უენერგიოდ კი რა გინდა ქნა! იმას ვერაფრით ვერ გააციებ, ჰოდა, დაიწყო. ჩემს ბიჭებს ვუთხარი, მოეშვით, თქვენი საქმე არაამეთქი...
**დოზიმეტრისტი.** (პროკურორს) ამას მოწაფეები ჰყავს. პროფტექნიკური სასწავლებლის ბიჭები. ყოველთვის იმათთან ჯახირობდა. ხელახლა ზრდიდა.
**ოპერატორი.** აყაყანდნენ ბიჭები, დაცაცხანება მომიხდა. ერთი სიტყვით, შინ გავყარე.
**პროკურორი.** მაშასადამე, იცოდით, რომ...
**ოპერატორი.** როგორ არ უნდა მცოდნოდა? პირველი პალოს ჩარჭობის დღიდანა ვარ ატომურ ენერგეტიკაში. სადგური მე თვითონ ავაშენე. შემდეგ მეოთხე ბლოკში დავრჩი. ბევრნი დარჩნენ. კარგი ბლოკი იყო... ძალიან კარგი...

შემოდის ფიზიკოსი.

**ფიზიკოსი.** მაგრამ საავარიო დაცვა მოხსნეს!
**ოპერატორი.** არ მინახავს. ეს ჩემი საქმე არაა. (პროკურორს). ეს სათვალეებიანიც (ფიზიკოსზე უთითებს) იქ იჯდა, რეაქტორთან. გაიქეცი-მეთქი, ვეუბნები...
**ფიზიკოსი.** მაპატიეთ, მაგრამ თქვენ თვითონ...
**ოპერატორი.** ტრანსფორმატორები გაჩერდნენ. მე ისინი უნდა გამეშვა.
**ფიზიკოსი.** მაპატიეთ, მაგრამ მე წასვლა არ შემეძლო. ტემპერატურას ვზომავდი. მესმოდა, რომ ჩემს გარდა არავინ ზომავდა. რეაქტორმა გახურება დაიწყო, საჭირო იყო პროცესის დინამიკისათვის თვალყურის დევნება. როგორ შემეძლო წავსულიყავი?!
**პროკურორი.** წახვედით კი...
**ფიზიკოსი.** მაპატიეთ, მე ეს არ მახსოვს. შემდეგ მითხრეს, რომ წავსულვარ და დავცემულვარ, გონი დამიკარგავს. მაპატიეთ.
**პროკურორი.** (ოპერატორს) თქვენა?
**ოპერატორი.** მე თვითონ, ჩემით წავედი. ტრანსფორმატორები ჩავრთე და წავედი. მე იქ მეტი ალარაფერი მესაქმებოდა.

№ 3 ბოქსში შუქი ქრება. იქიდან გამოვა დალლილი პტიცინა. როგორღაც უცნაურად შესცქერის ყველას, მას არავინ აქცევს ყურადღებას. უახლოვდება სერგეევს, იდაყვზე ჰკიდებს ხელს. სერგეევი მაშინვე ხვდება ყველაფერს. ორივე მორიგის ოთახში შედის.

**პროკურორი.** (ფიზიკოსს). მე თქვენი გამოთვლები ვნახე, მაგრამ, გულახდილად გეტყვით, მათში მაინცდამაინც ვერ გავერკვიე.
**ფიზიკოსი.** თქვენც ადექით და ისინი სპეციალისტებს გადაეცით. იქ ყველაფერი მარტივი და გასაგებია... თქვენთვის მთავარი ისაა, გამოარკვიოთ, ვინ მოხსნა საავარიო დაცვა.
**ბესსმერტნი.** (თავს გამოყოფს, აყურადებს). ვინ მოხსნა, ვინ? ავარიული სისტემა სისტემამ გამოთიშა, უპასუხისმგებლობის სისტემამ.
**პროკურორი.** გარკვევით... (ფიზიკოსს). მეტად არ დაგახანებთ.
**ოპერატორი.** შემიძლია გკითხოთ? ქალაქის ევაკუირება როდის მოხდა?
**პროკურორი.** კვირას, დღისით, ძალზე სწრაფად მოხდა, სულ ორსაათნახევარში. ათასი ავტობუსი მოაყენეს და ყველა გაიყვანეს.
**ოპერატორი.** მაშინვე რატომ არ გამოაცხადეს რადიოთი? ერთ საათში ყველანი ფეხით გაუდგებოდნენ გზას...
**პროკურორი.** მთავრობის კომისიის ჩამოსვლას ელოდნენ.
**ოპერატორი.** რატომ, რისთვის? რაო, მთავრობის კომისიას შეიძლებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება მიეღო? ლოდინი რა საჭირო იყო?
**პროკურორი.** ვერავინ შეძლო გადაწყვეტილების მიღება.
**ოპერატორი.** ვერ შეძლო თუ არ უნდოდა?
**პროკურორი.** ვერ გადაწყვიტა.
**ოპერატორი.** თქვენ კიდე იმათ ჰკითხეთ. რატომ ვერ გადაწყვიტეს? რაღა ჩვენ გვეკითხებით?
**პროკურორი.** ვკითხავთ. აუცილებლად ვკითხავთ.
**ოპერატორი.** ვწუხვარ, რომ პასუხს ვერ მოვისმენ... წავედი, რაკი აქ საჭირო არა ვარ. (დოზიმეტრისტს). შენ კი პროკურორს უამბე, რამდენჯერ მოითხოვე, ახალი აპარატურა მოეცათ.
**დოზიმეტრისტი.** ოთხჯერ.
**ოპერატორი.** ჩვენ კი სულ ვჩქარობთ, ვალდებულებებს ვიღებთ, გეგმას ვადაზე სამი თვით ადრე შევასრულებთო... ორი დღე-ღამეც რეაქტორისთვის... ამან კი ოთხჯერ ითხოვა მრიცხველები, მაგრამ იქ, ზევით, არავინ იჩქარა. სამაგიეროდ, უფროსების თხოვნას ჩვენ ყოველთვის ვასრულებთ... რატომ ხდება ასე? მათ სთხოვ რამეს და სდუმან, ჩვენ კი მაშინვე ვაშას ვიძახით და წინ მივიწევთ!
**პროკურორი.** სამი თვეო, თქვით? თქვენ ბლოკის გაშვებას გულისხმობთ?
**ოპერატორი.** სწორედაც, აი, ახლა დაიწყებენ ავარიის ლიკვიდირებას, ვერ გაერკვევიან, რა მოხდა რეაქტორში. მშენებლები ქვაბულიდან, ისე ამოფრინდნენ, თითქოს რაკეტებზე ისხდნენ, რათა, მაშასადამე, დროზე ადრე ჩაებარებინათ. რეაქტორს ქვემოთ მხოლოდ ბეტონის ლოდებს კი არა, თუ მოიძიებთ, ორიოდე ექსკავატორის ნახვასაც შეძლებთ. და ყველაფერი ეს პატაკისთვის, პრემიისთვის ხდება... ასეთი დაჩქარება ვის სჭირდება? ეს იგივეა, რომ ქალაქში მანქანები საათში ასი კილომეტრის სიჩქარით ვაჭენოთ, გაუშვი, რამდენიც გინდა იმდენი კაცი გაიტანონ, ოღონდ უფრო ჩქარა იარონ...
**პროკურორი.** ორი დღე-ღამე რეაქტორზე თქვით?
**ოპერატორი.** შეგვპირდნენ, დღესასწაულის შემდეგ ერთბაშად მთელ სიმძლავრეზე გავიყვანოთო. ვადამდე ორი დღე-ღამით ადრე. ყველგან ვალდებულებებს იღებენ... ჩვენ, რა, წითელი კოჭები ხომ არა ვართ?
**ფიზიკოსი.** დაცვაც, აი, ამიტომ მოხსნეს.
**ოპერატორი.** რაც არ ვიცი, არ ვიცი. მეოთხე ბლოკი კი ნამდვილად მენანება — კარგი მანქანა იყო. სხვებს სჯობდა, მაგრამ აკი სწორედ მას დაემართა ასეთი ამბავი... ქიმიურ ქარხანაში ავარია მოხდება და ასობით ადამიანი იღუპება, თვითმფრინავები ფეთქდება და ამდენივე იხოცება, ახლა მიწისძვრების დროს? მთელი ქალაქები ნანგრევებში წვება. კოსმოსური ხომალდებიც კი ფეთქდება სტარტის ალებისას.... კოსმოსის, ატომისა და ქიმიის საუკუნეში...
**ბესსმერტნი.** (საფარიდან გამოდის). ეს ატომის კი არა, კატასტროფების საუკუნეა.
**ოპერატორი.** სამწუხაროა, მაგრამ ახლა ყველა ასე ჩათვლის. სამწუხაროა! ჩვენი თვითმფრინავები ყველაზე საიმედოა. აბა, მე წავედი, რაღაც ვერა ვარ კარგად...
**პროკურორი.** გმადლობთ. ყველაფერში გავერკვევით და პასუხს მოვთხოვთ იმათ, ვინც დამნაშავეა.
**ოპერატორი.** ღმერთმა ქნას. მაშინ აზრი ექნებოდა იმას, რომ არ გაქცეულიყო კაცი. თუ არადა — ტყუილუბრალოდ ვიკაკვებით.

მიდის.

**ფიზიკოსი.** მაპატიეთ, გეთაყვა, მაგრამ მე გადაჭრით უნდა დავეთანხმო ამხანაგის აზრს! ამ ტრაგედიაში მთავარი მისი გაკვეთილებია. ჩვენ არა გვაქვს უფლება ამ გაკვეთილებიდან დასკვნები არ გავაკეთოთ, არ გავითვალისწინოთ რეაქტორის აფეთქება და მისი შედეგები.

ბოქსიდან გამოდის გენერალი. ყურს მიუგდებს საუბარს.

**პროკურორი.** ექსპერიმენტული?
**ფიზიკოსი.** ბოდიშს მოვიხდი, მე იქნებ ისე ვერ გამოვთქვი. მაგრამ, კაცობრიობის ისტორიაში ასეთი ცდა არასოდეს ყოფილა. რეაქტორის აფეთქება და მისი შედეგები. გამორიცხული არ არის, რომ ეს ერთადერთი შემთხვევა იყო. ამიტომ ეს

მოვლენა ყველა პარამეტრით უნდა შევისწავლოთ — მეცნიერული, ტექნიკური, ფსიქოლოგიური არა ფორმალურად, არამედ ღრმად, მრავალმხრივ.

პროკურორი. ხიროსიმასა და ნაგასაკზე რას იტყვით? რაღაც მსგავსი ხომ უკვე მოხდა?

ფიზიკოსი. მაპატიეთ, მაგრამ შედარება არ შეიძლება. იქ ყველაფერი დაიღუპა. ერთბაშად, დარტყმის ტალღისა და დასხივებისაგან... რადიობიოლოგიაში კი ამერიკელებს ყველა მონაცემი დღემდე არ გამოუქვეყნებიათ. მათ სამუშაოები მაშინვე დაასაიდუმლოეს... აქ სხვაგვარადაა საქმე! თქვეს: ატომის ეშმაკი გამოძვრაო. წარმოიდგინეთ, რომ ეს ასეცაა! ჩვენ, ფიზიკოსებმა, თითქოს, ყველაფერი ვიცოდით ატომზე, მაგრამ, გვაპატიეთ, შევცდით. მაშასადამე, უნდა შევისწავლოთ. მერწმუნეთ, ეს ფასდაუდებელი გამოცდილებაა. დიახ, საშინელი, დიახ, სასტიკი, მაგრამ ფასდაუდებელი გამოცდილება გახლავთ.

პროკურორი. ერთი კითხვაც. რამდენადაც ვიცი, თქვენ სადგურის თანამშრომლებში არ ირიცხებით.

ფიზიკოსი. მოსკოვიდანა ვარ, რეაქტორების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ვმუშაობ. სადგურში მოვლინებული ვიყავი. რეაქტორის რემონტზე დაყენებისას საზომი აპარატურა უნდა შემოწმებულიყო.

პროკურორი. და აფეთქების შემდეგ აქ დარჩით?

ფიზიკოსი. მაპატიეთ, იძულებული ვარ გავიმეორო, რომ ტემპერატურის აწევის ბუნება უნდა გვცოდნოდა. შემდეგ ხომ რეაქტორი პრაქტიკულად იმავე სქემით დაიწყებს გაციებას. ჩემს გარდა არავინ იყო... როგორ შემეძლო წავსულიყავი?

გენერალი. მიდიოდნენ, მე ვხედავდი.

პროკურორი. გარბოდნენ კიდეც... უკან არ იხედებოდნენ.

ფიზიკოსი. ისინი, ალბათ, იქ საჭირონი არ იყვნენ, მორჩა და გათავდა.

თავის ბოქსიდან გამოიხედავს შოფერი.

გენერალი (შოფერს). აქ მოდი, ერთად მივცემთ ჩვენებებს. (პროკურორს). ეს სულ ჩემთან იყო. დამიდასტურებს.

პროკურორი. (გენერალს) განვაგრძოთ, მეოთხე ბლოკის მიღების აქტს პირველი თქვენ აწერთ ხელს.

გენერალი. არა მხოლოდ მეოთხისას. ყველას მე ვაწერ ხელს. უკვე თხუთმეტი წელია აქ ვმუშაობ.

პროკურორი. ასეა. სამანქანო დარბაზის მიღების აქტსაც თქვენ აწერთ ხელს?

თავისი ბოქსიდან გამოდის აეს-ის უფროსი. იქვე ჯდება, გულისყურით ისმენს საუბარს.

გენერალი. ბუნებრივია.

პროკურორი. თქვენთვის ხომ არავის დაუძალებია მიღების აქტზე ხელის მოწერა?

გენერალი. არასერიოზული კითხვაა. რაკი მოვაწერე, ალბათ, თანახმა ვიყავი.

პროკურორი. ბუხარის საფეიქრო ქარხანაში თორმეტი წლის წინანდელი ხანძრის შემთხვევა თუა თქვენთვის ცნობილი?

გენერალი. ქრესტომათიული მაგალითია...

პროკურორი. ჰო, თუ არა?

გენერალი. ცნობილია, რასაკვირველია.

პროკურორი. ბამის ქარხანაში გაჩენილი ხანძარი. ბუხარაშიც და ბამზეც სახურავზე ადვილაალებადი მასალა ეგო. ორივე ობიექტი ექვს-შვიდ წუთში დაიწვა. დამნაშავენი დაისაჯნენ.

გენერალი. კი, მაგრამ...

პროკურორი. რატომ მოაწერეთ ხელი სამანქანო დარბაზის მიღებას, მაშინ, როცა მის სახურავზე იგივე მასალა ეგო და თქვენ კარგად იცოდით, რომ სამრეწველო ობიექტებზე იმ მასალის გამოყენება აკრძალულია?

გენერალი. მე წინააღმდეგი ვიყავი... სამინისტროს ხელმძღვანელობას ვაცნობე.

პროკურორი. და მოაწერეთ ხელი?

გენერალი. მაგრამ თქვენ ხომ იცით, რა დონეზეც მიიღეს სადგური, ჩემი ხელმოწერა წმიდა ფორმალობაა! (უთითებს აეს-ის უფროსზე). სხვათა შორის, ამისიც. ყველამ მოაწერა ხელი. ეს ხომ ქაღალდის ნაგლეჯია! ფორმალობაა და მეტი არაფერი.

პროკურორი. მაგრამ სამანქანო დარბაზი ფორმალურად არ დამწვარა. დენთივით დაიწვა. სახურავი დნებოდა, ფეხებით ნადნობში ეფლობოდნენ, მეხანძრეები თავიანთ სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდნენ, რათა იმ სახურავზე მოგიზგიზე ცეცხლი ჩაექროთ. იმ მასალაზე მოგახსენებთ, რომლის დაგებაც უკვე თორმეტი წელიწადია აკრძალულია (აეს-ის უფროსს). როგორ აღმოჩნდა ის აქ?

აეს-ის უფროსი. საწყობებში ეს მასალა ბლომადაა. ჩვენ კი გარღვევა გვქონდა. სადგურს ხომ მშენებლები ვადამდე სამი თვით ადრე აბარებდნენ.

პროკურორი. გასაგებია...

გენერალი. რა არის გასაგები? ჩვენი ხელის მოწერა რა ბედენაა. მე არ მოვაწერ, სხვა მოაწერს... თქვენ, რა, დღეს დაიბადეთ? თუ ყოველთვის იმას აწერთ ხელს, რის გამოც სინდისის ქენჯნას არა გრძნობთ?

პროკურორი. კარგი, ამას შევეშვათ... თქვენ მოედანზე ერთი საათის შემდეგ მოხვედით.

გენერალი. ინფორმაციის მიღებიდან ორმოცი წუთის შემდეგ მოვედი.

პროკურორი. რატომ?

გენერალი. როგორ თუ რატომ? რათა ადგილზე განმესაზღვრა ხანძრის ჩაქრობის ტაქტიკა და სტრატეგია... რათა უზრუნველმეყო...

პროკურორი. თქვენ ხომ მიიღეთ ინფორმაცია, რომ მარტო ხანძარი კი არ გაჩნდა, აფეთქებაც მოხდა?

გენერალი. ამის მაშინვე დაჯერება ძნელი იყო... ანდა, ვის შეეძლო ეს ევარაუდნა?

აეს-ის უფროსი. ნამდვილად არავის.

პროკურორი. თქვენ თუ გადაეცით ინფორმაცია ვისაც ჯერ იყო? კი თუ არა?

გენერალი. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში დავრეკე. სიტყვასიტყვით ასე მითხრეს: „შიშს დიდი თვალები აქვს. შენს საქმეს მიხედე, შენი საქმე კი ხანძრის ჩაქრობაა... და უზრუნველყავი, რომ ხანძარი რაც შეიძლება ჩქარა ჩააქრო.., მეც უზრუნველვყოფდი.

პროკურორი. თქვენ სამი საათის შემდეგ აცნობეთ, რომ ხანძარი ჩამქრალი იყო?

გენერალი. დიახ, ვაცნობე... ისე, კაცმა რომ თქვას, რა უფლება გაქვთ, რომ დამკითხოთ? იმათ გამოჰკითხეთ, მე ვისაც მოვახსენე... მე კი მოვახსენე!.. მოვახსენე!.

პროკურორი. თქვენ მანქანით ზედ რეაქტორის შენობას მიადექით. იცოდით თუ არ გესმოდათ, რომ რადიაციული უსაფრთხოების თვალსაზრისით ეს დაუშვებელია?

გენერალი დუმს.

პროკურორი იცოდით თუ არ გესმოდათ?

შოფერი. ამხანაგმა გენერალმა მე მითხრა, აქ უსაფრთხო ადგილიაო. თუ რეაქტორი არ ჩამოიქცა, არ დაირღვა, მაშინ მთელი რადიაცია შიგნით რჩება, ბეტონის კედლებში კი ის ვერ გამოაღწევსო. სწორედ ასე მითხრა.

პროკურორი. სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, მეხანძრეებს თავდასაცავი ტანსაცმელი რატომ არ ეცვათ! ინსტრუქციით ისინი, ვინც სადგურის სახანძრო ნაწილში მუშაობს ამგვარი ტანსაცმლით აუცილებლად უნდა იყვნენ მომარაგებული.

გენერალი დუმს.

აეს-ის უფროსი. ნაკლებად სარწმუნოდ იყო მიჩნეული, უფრო ზუსტად, სრულიად შეუძლებლად მიაჩნდათ, რომ ის ტანსაცმელი საჭირო გახდებოდა.

პროკურორი. გამოდის, რომ ტანსაცმლის საფასურს ზოგავდით?

გენერალი. არ მინდა თქვენ გიპასუხოთ და არც გიპასუხებთ! თქვენ არა გაქვთ ჩემი დაკითხვის უფლება!...

შოფერი. თქვენ ამხანაგ გენერალს სულ ტყუილად შეუტიეთ. ის კეთილია, როცა კი ვთხოვ, მეხმარება... ჩემი ქალიშვილი საავადმყოფოში მოაწყო. ალბათ, ის არაა დამნაშავე. ეგ ყველა სხვასავის ცხოვრობდა.

პროკურორი. მან შენს სიცოცხლეს... (ეძებს სიტყვას) საფრთხე შეუქმნა. შენ კი...

შოფერი. მე ისე ვატყობ, რომ ამხანაგი გენერალი ძალიან იტანჯება, სხვა თუ არაფერი, იმის გამო, რომ თვით იმ რადიაციისა არაფერი გაეგებოდა... ის არც თავის თავს ზოგავდა...

აეს-ის უფროსი. ჩემი რიგია... დამკითხეთ!

პროკურორი. სულ რამდენიმე შეკითხვას დაგისვამთ. თქვენთან დაკავშირებით ჩემთვის ისედაც ყველაფერი ნათელია, თქვენ სადგურში არ ყოფილხართ, ხომ ასეა?

აეს-ის უფროსი. ვერ მოვასწარი. მაგრამ მთლად დასაწყისში იქ ვიყავი.

პროკურორი. მაშინვე მიხვდით, რაც მოხდა?

აეს-ის უფროსი. თითქმის. საერთო ხაზებში.

პროკურორი. და წახვედით?

აეს-ის უფროსი. დროებით გავერიდე... გესმით...

პროკურორი. შვილიშვილები მარტონი იყვნენ შინ. ვიცი.

აეს-ის უფროსი. ბლოკში მუშაობდნენ. მე ვხედავდი... მანდ, მეზობლად, რვა კილომეტრზე ჩემი სიდედრი ცხოვრობს. ვიფიქრე, მივირბენ სოფლამდე, ბალღებს დავტოვებ და მაშინვე მოვბრუნდები-მეთქი.

პროკურორი. ქალაქი რატომ არ დააყენეთ ფეხზე? ყველას მიერბინა სოფლამდე... უფრო ახლოსაცაა, სულ ხუთ კილომეტრზე. ფეხით წავიდოდნენ... რადიოთი გამოგეცხადებინათ, ყველაფერი გეცნობებინათ ხალხისათვის და... და ოფიციალურ ევაკუაციას მთელი დღე-ღამე არ უნდა დალოდებოდით.

აეს-ის უფროსი. ეს არც ისე იოლი საქმეა.

პროკურორი. საკუთარ „ეიგულში“ ჩაჯდომა, შვილიშვილების ჩასხმა და გამგზავრება... უფრო იოლია? თქვენ ხომ სხვებზე მეტად გესმოდათ, რაც მოხდა... არადა, დილით ხომ ბავშვები ქალაქში ფეხბურთს თამაშობდნენ. თან მაღაზიებში ქორფა კიტრები შემოიტანეს, ქუჩებში ყიდდნენ...

აეს-ის უფროსი. ვერ შევძელი მობრუნება. თქვენ ხომ იცით, რაც მოხდა. თქვენ ალბათ, გიამბეს...

პროკურორი. უცნაური, უაზრო რამაა, რასაკვირველია. მანქანა ასფალტს გადასცდა და აბუქსავდა. მთელი თხუთმეტი წუთი ვერ დაიძრნენ ადგილიდან. საბედნიეროდ, შვილიშვილები არ გადმოსულან... ვიცი, ვიცი. უკან მობრუნებულზე კი თქვენ მედიკოსებმა შეგამოწმეს.

აეს-ის უფროსი. პირდაპირ „ტალახში“ მოვხვდი...

გამოდის ანა პეტროვნა. შენიშნავს მესამე ბოქსის გამოღებულ კარს. შედის.

პროკურორი. სხვა რამ მინდა გკითხოთ. მე თქვენი ანკეტა გადავათვალიერე. სკოლა, ინსტიტუტი... სიტყვამ მოიტანა და, იქ ფიზტეხზე განსაკუთრებული წარმატება არ გქონიათ — როგორც იტყვიან, საშუალო ვინმე იყავით. მაგრამ, ამის მიუხედავად, თქვენ ჯგუფიდან გამოგარჩიეს — პასუხსაგები საქმე დაგეკისრათ, სადგურის უფროსი გახდით. სხვები უკან ჩამოიტოვეთ. რითი შეგიძლიათ ამის ახსნა?

აეს-ის უფროსი. მე უფროსობისთვის თავი არ მომიკლავს. ვმუშაობდი, ალბათ, სხვაზე უკეთ ვმუშაობდი და ამიტომ დამაწინაურეს. ნუ ღელავთ — „უპატრონო“ ვარ. მამაჩემი მინისტრი არ ყოფილა, სიმამრი მუშაა. არავის გავუქაჩივარ. ჩემით გავიქაჩე.

პროკურორი. ესე იგი, თქვენით გაიქაჩეთ... სადგურის თქვენამდელი უფროსი რატომ მოხსნეს, ხომ არ იცით?

აეს-ის უფროსი. ეს ყველამ იცის — სკანდალისტი გახლდათ. პლუს ოთხი საყვედური მთავრობის დავალებათა შეუსრულებლობისთვის.

პროკურორი. სადგურში მასზე პატივისცემით, სიყვარულითაც კი ლაპარაკობენ.

აეს-ის უფროსი. ვიცი, რომ მას ხასიათშეუწყობელ, უჟმურ კაცად მიიჩნევდნენ.

პროკურორი. რასაკვირველია, ის ხომ ყველა

სსრ კ. მარქსის ... სახ. რესპ. ... ბიბლიოთეკა

ბრძანებას არ ასრულებდა! კამათობდა... სხვათა შორის, სწორედ ამ მეოთხე ბლოკის გაშვებას ის კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა!

აეს-ის უფროსი. ეს, დაე, უფროსობამ გაარკვიოს. იქ, სამინისტროში, უვიცები არ სხედან. იციან სად რა ვითარებაა და, მათ შორის, ჩვენს სადგურში რაც ხდება, ისიც მოეხსენებათ.

პროკურორი. თქვენ რატომ არასოდეს შეკამათებიხართ უფროსობას თუ ამის საბაბი არ გქონდათ?

აეს-ის უფროსი. რატომ სახელდობრ უნდა „შევკამათებოდი?" ვთხოვდი... წერილობით მივმართავდი... საერთოდ, ვმუშაობდი, როგორც გვევალება!

პროკურორი. და უსაყვედუროდ მუშაობდით?

აეს-ის უფროსი. დიახ, უსაყვედუროდ ვმუშაობდი.

პროკურორი. თქვენს წინამორბედს ოთხი საყვედური ჰქონდა. მაგრამ მისი უფროსობის დროს აქ არცერთი სერიოზული შემთხვევა არ მომხდარა. თქვენ ერთი საყვედურიც არა გაქვთ და ავარია მოხდა...

აეს-ის უფროსი. გასაგებია! მაშასადამე, განტევების ვაცს ეძებთ, არა? არ გამოგივათ.

პროკურორი. ნამდვილად, ხელჩასაჭიდს ვერაფერს გამოგინახავთ.. სხლტებით...

აეს-ის უფროსი. ამაოდ ცდილობს ჩემს დადანაშაულებას. თვითონაც ვფიქრობ: რატომ მოხდა ის, რაც მოხდა? ამ კითხვის პასუხს ვერ ვპოულობ... შემთხვევითობაა და მეტი არაფერი.

...აი, მთავრობის გარდამავალი დროშაც სამჯერ მივიღეთ და გეგმებსაც ნორმალურად ვასრულებდით... ასე რომ, ჩვენთან ნუ ეძებთ დამნაშავეებს! ჩვენთან ნუ ეძებთ... ამიხსენით, ამ ათ წელიწადში აეს-ის მოწყობილობა-აღჭურვილობა რატომ გაუარესდა? მოძველებულ ხელსაწყოებსა და აპარატურას რატომ ვლებულობთ? და ბოლოს, იმავე გამომრთველების რემონტზე მოთხოვნის გაგზავნას სამინისტრომდე და უკან მობრუნებას რატომ სჭირდება სამი თვე? მე თქვენ ათობით ასეთ „რატომს" ჩამოგითვლით და განა მარტო მე შემიძლია ეს? გნებავთ ჰიდროენერგეტიკოსებს ჰკითხეთ და გნებავთ თბოელებს — ისინიც ამას მოგახსენებენ. არც მანქანათმშენებლებთანაა საქმე უკეთ და არც ელექტროელებთან. მუწუკმა, იარამ ჩვენთან, ჩვენს აეს-ში იჩინა თავი.

პროკურორი. სადგურს ასეთი ფილოსოფიით როგორ ხელმძღვანელობდით?

აეს-ის უფროსი. რაო, ამ ერთი კვირის წინათ ჩემს მიმართ რაიმე პრეტენზია გქონდათ? არა, ჩემზე აქამდე მხოლოდ საუკეთესო აზრისანი იყვნენ... შეგიძლიათ შეამოწმოთ.

პროკურორი. და მაინც მეზობელი აეს-ის უფროსმა, როცა რადიაციის დონე ამაღლდა, განგაში ატეხა და ყველანი ფეხზე დააყენა! მან იფიქრა, რომ მასთან მოხდა...

აეს-ის უფროსი. ჩემს სიტყვებს თქვენვე უქრავთ კვერს! მან იფიქრა, რომ მოხდა მასთან. რაო, მე კი არ ვიფიქრე, რა მოხდა ჩემთან!.. მორჩა და გათავდა. ნახვამდის. თუმცა, არა მგონია კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს.

პროკურორი. და მაინც მე გისურვებდით...

აეს-ის უფროსი. არა, მე ამას არ ვგულისხმობდი (ბოქსზე უთითებს). აქედან თუ გავედი, მაინც ვერ შევხვდებით ერთმანეთს. თანამდებობიდან მომხსნიან, ეს ცხადია, მაგრამ სამართალში მიმცემენ?! ამ ავარიისათვის ბევრმა, ძალიან ბევრმა უნდა აგოს პასუხი... ჯაჭვური რეაქცია დაიწყება და ჯერ კიდევ არ ვიცით, მისი შეჩერება შესაძლებელია თუ არა. ასე რომ, ნახვამდის!.. არადა, აჯობებს ეს ავარია რაც შეიძლება ჩქარა დავივიწყოთ... ყველასთვის აჯობებს...

თავის ბოქსში შედის.

თარგმნა **ჯუმბერ თითმერიამ.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამბავი ერთი პოეტისა

იტალო კალვინო

იტალიის სამხრეთ სანაპიროდან კოშკურასავით წამოზიდული პაწაწინა კუნძული მოჩანდა. ხშირი ტყით დაფარულ ციცაბო ფერდობებს მხოლოდ ფრინველები თუ გადაუვლიდნენ, თორემ ადგილობრივი მცხოვრებლებიც არ ეკარებოდნენ იქაურობას — კუნძული უკაცრიელი იყო. თუმცა, ნახევარი საათიც არ სჭირდებოდა ნიჩბიანი ნავით იქამდე მისვლას. აი ახლაც პატარა ნავი უახლოვდებოდა კუნძულს, შიგ ორნი ისხდნენ: კაცი და ქალი. კაცი ნება-ნება უსვამდა ნიჩბებს, ქალი ნებიერად გადაწოლილიყო და მზისთვის მიეშვირა სახე.

— გესმის რამე? — ჰკითხა ქალმა.

— სიჩუმე! — უპასუხა კაცმა, — კუნძულებს სჩვევიათ ასე გარინდება.

კუნძულის მართლაც იდუმალ სიმშვიდეს დროდადრო არღვევდა ტყის შრიალი, ფრინველთა ფრთების ტყლაშუნი და ზღვის ჩუმი ოხვრა.

ნავში მსხდომნი ფრთხილად უვლიდნენ კუნძულს გარშემო და კლდის ძირას პირდაფჩენილ მღვიმეებს ზვერავდნენ. ისინი აქაურებს არ გვანდნენ, კაცში სახელგანთქმულ პოეტ უზნელის შეიცნობდით, ქალი პირმშვენიერი დელია ჰ. გახლდათ.

დელიას გაგიჟებით უყვარდა სამხრეთი. ახლაც მონუსხულივით შესცქეროდა იქაურობას და თავგამოდებით უმტკიცებდა უზნელის, მე რომ არა, ამ საოცარ მღვიმეებს ვერ იხილავდიო.

— მოიცა, — სიტყვა გააწყვეტინა უზნელიმ, — ჩუმად!

— რატომ უნდა გავჩუმდე? გინახავს რამე ამაზე სრულყოფილი?

უზნელიმ პასუხი აღარ გასცა და შინაგან ხმას მიუგდო ყური. გრძნობდა, მისი სული ბუნებასთან იდუმალი კავშირის უხილავ სიმს შეეხო და უცნაური, ტკივილისმაგვარი განცდა დაეუფლა. როგორც ჭეშმარიტ პოეტებს ჩვევიათ, მასაც არ სჯეროდა არანაირი განცდისა და სიტყვის, თუ ის გრძნობის ქურაში არ იყო გამომწვარი. ამიტომ არ უყვარდა ლაპარაკი და სულ დაძაბული იყო. ბედნიერად მხოლოდ იმ წუთებში თვლიდა თავს, როცა გარინდებულს და სუნთქვაშეკრულს, გრძნობები სიტყვებად ელვრებოდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც დელია შეუყვარდა, გრძნობდა, ეს ბედნიერება ხელიდან ეცლებოდა, მაგრამ ვერც დელიასადმი ტრფობას ელეოდა. მოჯადოებულივით იჯდა ნავში და აკვირდებოდა ბუნების ამ სასწაულს — ზღვის სილურჯეში ჩაკარგულ ხასხასა კუნძულს, წყლის კამკამა ზედაპირზე თევზის მოვერცხლისფრო ფარფლის გაელვებას და თითქოს ელოდა, ბუნების სრულქმნილების ბოლო საფეხურზე — ჰორიზონტის უჩინარ ხაზზე ნიჟარასავით გაიღებოდა სარქველი და დაიბადებოდა ახალი სიტყვა ან პლანეტა.

ნავი მღვიმეში შეცურდა. შიგნით, ჰაერში ჩაკიდებული კლდოვანი თაღის ქვეშ, კარგა მოზრდილი ზურმუხტისფერი ტბა გადაიშალა. მერე მღვიმე ვიწროვდებოდა და ბნელი ხვრელით მთავრდებოდა. უზნელიმ ნავი შემოაბრუნა და სხივების უცნაურ ციაგს დააკვირდა. თვალისმომჭრელი სხივების ათინათი კვეთდა წყლის ზედაპირს, ირეკლებოდა და ისე ეფინებოდა მიდამოს, თითქოს მღვიმის თაღიცა და კედლებიც მოსარკულ ზღვასთან ერთად ლივლივებდნენ.

— აქ ღვთის ხელი ურევია! — ვერ დაფარა აღტაცება დელიამ.

— ჰმ, — ნერვიულად ჩაახველა უზნელიმ. იგი შეჩვეული იყო სასწაულების სიტყვით გამოხატვას, მაგრამ ახლა შესაფერი სიტყვა ვერ მოეძებნა ამ გრძნობის გადმოსაცემად.

ნავმა წყლის ზედაპირზე ამოზიდულ ლოდს შემოუარა და მღვიმის შუაგულისაკენ გაცურა. დელია პირით მღვიმის შემოსასვლელისაკენ იჯდა და ხე-

# იტალიური ნოველა

დავდა, როგორ ეცვლებოდა კონტურები ცის ლურჯ თვალს.

— კიბორჩხალა-ა... დიდი კიბორჩხალა! — წამოხტა დელია.

— ალა-ა-ა... — გაისმა ექო.

— ექო-ო-ო! — შესძახა გახარებულმა ქალმა და აღგზნებული ხმით ლოცვებისა და ლექსების ნაწყვეტების კითხვა დაიწყო.

—შენც დაიყვირე და ჩაუთქვი რამე! — აქეზებდა უზნელის.

— ო-ო-ო, ე-ე-ე, ო-ო-ო... აღმოხდა უზნელის.

ნავი დროდადრო რაღაცას ედებოდა. სიბნელემაც თანდათან იმატა.

— მეშინია, ვინ იცის, რამდენი ცხოველია აქ! — თქვა დელიამ.

— ცოტაც გავცუროთ, — მიუგო უზნელიმ და იგრძნო, ისე ელტვოდა სიბნელეს, როგორც ღრმა წყლის თევზი მიექანება უფსკრულისაკენ.

— მეშინია, უკან დავბრუნდეთ, — დაიჟინა ქალმა.

გულის სიღრმეში უჩვეულო შიშის გრძნობა დაეუფლა უზნელისაც, ნავი შემოაბრუნა და ახლა მღვიმის იმ ადგილას შეაცურა, სადაც ზღვას კობალტისფერი დაჰკრავდა.

— აქ რვაფეხები არიან? — იკითხა ქალმა.

— რომ იყვნენ, გამოჩნდებოდნენ, წყალი გამჭვირვალეა.

— ბანაობა ხომ შეიძლება? — თქვა დელიამ და მიწისქვეშა ტბაში გადახტა.

მოსარკულ წყალში დელიას ქათქათა სხეულმა გაიელვა.

— ჩემკენ გამოცურე, — დაიძახა დელიამ. სიფრიფანა ნაჭერი, მკერდს რომ უფარავდა, მოიძრო და ნავში მოისროლა, — ერთი წამით, — თეძოებზე შენასკვული ნაჭერიც მოიხსნა და უზნელის მიაწოდა.

შიშველი დელიას სხეული მედუზასავით თეთრ-მოცისფრო გამჭვირვალე ფერს გამოსცემდა. ზურგზე გაწოლილი, ნება-ნება მიცურავდა, (სახეზე ქანდაკებისთვის დამახასიათებელი ირონიული ღიმილი დასთამაშებდა) თავი წყლის ზედაპირზე ედო. დროდადრო, ცალი ხელით ნაზ კვალს რომ გაავლებდა, წყალზე მხარი მოუჩანდა, მეორე მკლავს ალერსიანად აამოძრავებდა და ხან უჩნდებოდა, ხან ეფარებოდა მაღალი მკერდი. ლარივით გაჭიმული ფეხებით წყალს ადგაფუნებდა. გლუვ მუცელზე წყალი ელვრებოდა და პაწაწინა ანაბეჭდივით მოუჩანდა ჭიპი. სიღრმეში ჩამავალი მზის სხივები გამჭვირვალე ნათლით მოსავდა ქალის თავსა და სხეულს.

დელია აღარ ცურავდა, თითქოს ცეკვავსო, მკლავები გაეწვდინა უზნელისაკენ და ილიმოდა. ხანდახან ჩაყურყუმელავდებოდა და თევზივით პატარა ტერფებს ამოიწვდენდა წყლიდან.

ნავის კიჩოზე ჩამომჯდარი უზნელი თვალს ვერ აშორებდა დელიას. იგი ისევ დუმდა. უცნაური ფიქრები წამოეშალნენ: უზნელი ხვდებოდა, რომ ბუნების სრულქმნილებასთან ეს მოულოდნელი ზიარება ის იშვიათი შემთხვევა იყო, რომლითაც ღირსყო უზენაესმა და ვერავითარი სიტყვა ვერ აღწერდა მას.

დელია მღვიმის გასასვლელისაკენ მიცურავდა.

— აქეთ, ნავები გვიახლოვდებიან! — გასძახა უზნელიმ.

დელია უკვე რიფებს შორის ჩამალულიყო. მერე წყალქვეშ გამოცურა, ტანსაცმელი ჩამოართვა უზნელის, გადაიცვა და ნავში ამოხტა.

ზღვაში მეთევზეთა კარაპები ირწეოდნენ. უზნელიმ ის ღარიბი მეთევზეები შეიცნო, რომლებიც მთელი სეზონის მანძილზე ზღვაში ათენ-ღამებენ, და ერთ-ერთ კარაპთან მიაცურა ნავი. ახალგაზრდა კაცი ჯიქურ უსვამდა ნიჩბებს, სახეზე ეტყობოდა, კბილები სტკიოდა და მთელი დაძაბულობა ნიჩბებზე გადაეტანა. მეზღვაურის თეთრი ქუდი შუბლზე ჩამოეფხატა და ტკივილისაგან ისედაც მოჭუტული თვალები ძლივს უჩანდა. კიჩოზე მოხუცი მეთევზე იჯდა. თავზე მთლად დაძენძილი მექსიკური ჩალის ქუდი ეხურა. გამხდარ სახეზე ქუდის ფარფლების ჩრდილი სცემდა და მრგვალი გადმოკარკლული თვალები მოუჩანდა. პირდაფჩენილს, შავი ულვაშები ძირს დაშვებოდა, იჯდა და დანით კეფალს ასუფთავებდა.

— როგორაა საქმე? — გადასძახა დელიამ.

— არც ისე ცუდად, — უხალისოდ უპასუხეს მეთევზეებმა.

დელიას უყვარდა იქაურებთან გამოლაპარაკება, უზნელის — არა. („მათთან პირისპირ ყოფნისას თავს დამნაშავედ ვგრძნობ ხოლმეო" — ამბობდა მხრების აჩეჩვით).

ნავი გვერდითა მხრიდან გაუსწორდა მეთევზეთა კარაპს, რომელსაც სალებავი აქა-იქ დახეთქოდა და უშნოდ აჭრელებულიყო.

უზნელი უბრად იჯდა ნავში. ისევ უცნაური განცდა დაეუფლა, არა ისეთი, ამ ცოტა ხნის წინ ბუნებასთან შეყრით რომ განიცადა. ახლა ისე მოაწვა სიტყვები, რომ შეეძლო, თუნდაც ერთი ხატოვანი გამოთქმით აღეწერა ყოველი წვრილმანი, მეჭეჭი ან ბუსუსი წვერგაუპარსავი მოხუცის სახეზე, კეფალის მოვერცხლისფერო ფარფლიც კი.

ნელა ბრუნდებოდნენ უკან. ნაპირზე აყირავებული კარაპი მოჩანდა. ეტყობოდა, პატრონებს ღამით ეთევზავათ და ახლა კარაპის ქვეშ თვლემდნენ. იქვე შავად მოსილი ქალი ტრიალებდა. გამხმარი წყალმცენარეებისაგან დანთებულ ცეცხლზე ქვაბი შეედგა. ქვაღორღიან პირქუშ ნაპირზე აქაიქ ლაქებივით მოჩანდა ბავშვების წინსაფრები... ცოტა მოშორებით თეთრი სილით მოფენილი უკაცრიელი პლაჟი მეჩხერ ლელიანში იკარგებოდა. სანაპიროს გასწვრივ შავ საგარეო ტანსაცმელში გამოწყობილი შავქუდიანი ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. მხარზე გადებულ ჯოხზე ფუთა ეკიდა. დანაღლული ფეხსაცმლით მოხვეტავდა ფხვიერ სილას... ზღვიდან გრილი სიო უბერავდა. სანაპიროდან არც ისე შორს ტელეგრაფის ბოძები გამწკრივებულიყვნენ. რკინიგზის ლიანდაგი გვირაბში უჩინარდებოდა, მერე ისევ უსწორმასწორო გვირისტის მსგავს კლაკნილ ხაზად ჩნდებოდა. გზის დასაცავი შავ-თეთრი ბოძკინტები ზემოთ მიუყვებოდნენ ზეთისხილის კორომებით დაფარულ ფერდობს, რომელიც მოშიშვლებული გორაკებით მთავრდებოდა; უფრო მაღლა ხაძოვრები და დაბალი ბუჩქნარი გადაშლილიყო. სოფელი შემაღლებულზე ორ ქედს შუა იყო შეფენილი. ერთმანეთზე გადაბმულ [illegible] ლებს [illegible] ჰყოფდა; ქალები ზღურბლზე ჩამომსხდარიყვნენ, მამაკაცები ქვის გალავანთან განმარტოვებულიყვნენ, ბავშვები საფეხურებიან ქუჩებში გამოფენილიყვნენ და თამაშობდნენ.

უზნელი სულშეგუბული იდგა და თითქოს თვალებით ისრუტავდა ყოველივეს. ახლაღა მიხვდა, რომ მის ცხოვრებაში მომხდარი ეს შემთხვევა რაღაც დიდისა და არაჩვეულებრივის მაუწყებელი იყო. იგრძნო, როგორ დაიძრა გონებაში სიტყვების კორიანტელი, როგორი აზვირთებული ტალღებივით აწყდებოდნენ ერთმანეთს სტრიქონები, ვიდრე ერთმანეთში არ ჩაიხლართნენ. ჩაიკირნენ. მერე თითქოს ერთბაშად შეწყდა ნიაღვარი, დაიწმინდა, დაგუბდა და ერთ უზარმაზარ, ყოვლისშემძვრელ, განწირულ კივილად იქცა.

იტალიურიდან თარგმნა
**ნუნუ გელაძემ.**

მხატვარი თენგიზ სამსონაძე.



# შორეული წინაპრების ნაკვალევზე



ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტყოფის ყორღან-სამარხი „გრაკლიანი გორა“.

სოფელი მარტყოფი თავისი 2000 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად ემზადებოდა. ამის საფუძვლად მიაჩნდათ მის ტერიტორიაზე 1972 წელს აღმოჩენილი ძველი წელთაღრიცხვის III-I საუკუნეების ქვევრ-სამარხები ვერცხლის მონეტებით, აგრეთვე მატერიალური კულტურის სხვა ძეგლები.

მაგრამ, 1978-1983 წლებში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ განახორციელა პროფესორ ოთარ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, საბოლოოდ ნათელყო, რომ მარტყოფის (უძველეს დროში სოფელ აკრიანის) მიდამოები დასახლებული ყოფილა გაცილებით უფრო ადრე, სახელდობრ, ძველი წელთაღრიცხვის XXV-XXIV საუკუნეებში, ანუ დაახლოებით 4500 წლის წინათ. ასეთი დასკვნა იქნა გამოტანილი მარტყოფის სამხრეთ-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით ორიოდე კილომეტრის მანძილზე მდებარე ოთხი ყორღანსამარხის გათხრის შედეგების საფუძველზე.

1978-1980 წლებში ექსპედიციამ შეისწავლა ულევრის ველზე მდებარე სამი ყორღან-სამარხი. სწორედ ამ ველზე გაიმართა მარტყოფის 1625 წლის მარადსახსოვარი ბრძოლა გიორგი სააკაძის სარდლობით. ადრეული ბრინჯაოს ხანის ამ სამარხებში ფრიად საინტერესო არქეოლოგიური მასალაა მოპოვებული. ულევრის ყორღანები შეიძლება დავათარიღოთ ძველი წელთაღრიცხვის XXIV-XXIII საუკუნეებით. ეს ის ხანაა, როცა ჩვენში და საერთოდ კავკასიაში პირველად იწყებს გავრცელებას დასაფლავების ახალი წესი — ყორღანული სამარხი.

ყორღანების დიამეტრი 40-დან 70 მეტრამდეა. ულევრის № 1 და № 2 ყორღანების ქვაყრილზე 5-6 მეტრი სიმაღლის წითელი თიხის ფენაა ამოყვანილი. თიხა მოზიდულია მარტყოფის პატარა მდინარე ტევალის ხეობიდან, რომელიც ყორღანებიდან ათიოდე კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. ასეთი დიდი რაოდენობის თიხის მიზიდვა იმ უძველეს დროში, ცხადია, ძალზე დიდ შრომას მოითხოვდა. ამას კი მხოლოდ ხალხმრავალი დასახლების მცხოვრებნი შეძლებდნენ. ასეთი დიდი ზომის ყორღანები ტომის ბელადების ან ტომის დაწინაურებულ წევრთა სამარხები უნდა ყოფილიყო.

№ 1 და № 2 ყორღანებში აღმოჩნდა ქვის ცული, ვერცხლის შესანიშნავი სატევარი (ეს ამ პერიოდის ძვირფასი ლითონისაგან ნაკეთები იარაღის აღმოჩენის პირველი შემთხვევაა მთელ კავკასიაში), ბრინჯაოს ხელშუბის პირი, გახვრეტილი ეშვი, ნიჟარისაგან დამზადებული მძივები, თიხის შავპრიალა ჭურჭელი შესანიშნავი ორნამენტებით და ა. შ. დაახლოებით ასეთივე ხასიათის არქეოლოგიური მასალა მოგვცა ულევრის № 3 ყორღანმაც, რომელიც უფრო მდიდარი აღმოჩნდა ძვირფასი ლითონის ნივთებით. აქვე იყო ძვირფასი ქვისაგან დამზადებული რგოლი მაჯაზე გასაკეთებლად. მაგრამ განსაკუთრებით საგულისხმო აღმოჩნდა მარტყოფის ყველაზე დიდი ყორღანი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „გრაკლიან გორას“ უწოდებენ: მისი დიამეტრი 100 მეტრს აღემატება, რაც თითქმის ორჯერ სჭარბობს ამ სოფლის სხვა ყორღან-სამარხების მოცულობას.

„გრაკლიანი გორის“ გათხრას არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ორი წელი მოანდომა და 1982 წლის ოქტომბერში დაასრულა. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. მარტყოფის დიდი ყორღანი საინტერესო აღმოჩნდა არა მარტო ფრიად მდიდარი არქეოლოგიური მასალით, არამედ თვით მშენებლობის ტექნიკითაც. სამარხი შეუქმნიათ გულმოდგინედ დამუშავებული მუხის მორებისაგან. რომლებიც ერთმანეთზე მჭიდროდ ყოფილა დაწყობილი. ნაგებობის გარეთა კედელს 11 მეტრი სიგრძე და 10 მეტრი სიგანე, ხოლო შიგნითა კედელს — 8 მეტრი სიგრძე და 6 მეტრი სიგანე ჰქონდა. ორრიგად ამოყვანილი მუხის კედლებს შორის მდებარე სიცარიელე ამოვსებული იყო რიყის მსხვილი ქვით. მართალია, მუხის ნაგებობის სახურავი ჩანგრეული აღმოჩნდა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მანამდე მთელი ნაგებობის სიმაღლე დაახლოებით ორი მეტრი იქნებოდა.

ნაგებობას ზემოდან ეწყო 5 მეტრი სიმაღლის ქვა-ღორღი, რომელსაც დაყრილი ჰქონდა 6 მეტრი სიმაღლის თიხა. ამრიგად, ძელახოს ველზე აღმართული ყორღან-სამარხის „გრაკლიანი გორის“ საერთო სიმაღლე 18 მეტრს აღწევდა. აღსანიშნავია ისიც, რომ თიხის ეს უზარმაზარი მასა ყორღანის შესაქმნელად მიტანილი ყოფილა ტევალის ხეობიდან, რომელიც ყორღანიდან 5 კმ მანძილზე მდებარეობს.

მთავარი მაინც აღმოჩენილი ნივთებია.

სამარხ-ნაგებობაში რამდენიმე მიცვალებულის ჩონჩხთან აღმოჩნდა ოქროსა და ვერცხლის მძივები, რამდენიმე ოქროს რგოლი, ვერცხლის ხვიარები, სარდაფის მძივები, ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები, ცხოველთა ეშვებისა და კბილებისაგან იშვიათი სინატიფით დამზადებული სამკაულები, ნარინჯისფერი მინერალისაგან გაკეთებული ნივთები და ა. შ. არქეოლოგთა დიდი ინტერესი გამოიწვია ლამაზი ფორმის შვიდმა ნივთმა, რომლებზეც სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურაა ამოკვეთილი. დიდ ინტერესს იწვევს ბრინჯაოს ნივთები — ისრის პირები და შესანიშნავად ნაკეთები ცულები, აგრეთვე კერამიკა, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ჩუქურთმიანი თიხის ჭურჭელი.

პროფესორ ო. ჯაფარიძის აზრით, მარტყოფის დიდი ყორღანი ერთ-ერთი დაწინაურებული ფენის წარმომადგენლის სამარხია, რასაც მოწმობს თვით ყორღანის რთული აგებულება და ჩატანებული ნივთების სიუხვე, მრავალფეროვნება. დღეისათვის გათხრილი ასეთი ტიპის ყორღან-სამარხებიდან მარტყოფის ყორღანი ოქროს ნივთებითაც ყველაზე მდიდარი აღმოჩნდა. იშვიათი სინატიფით დამზადებული ეს ნივთები გვიდასტურებს მაშინდელ საქართველოში ოქრომჭედლობის საკმაოდ მაღალ დონეს.

საგულისხმოა ისიც, რომ მარტყოფის მიწაზე სიცოცხლე არ ჩამქრალა ძვ. წ. XXV-XXIV საუკუნეებიდან დღემდე. ეს ვერ შეძლო თვით შაჰ-აბასმაც კი, რომელმაც ყველაზე მძიმე ჭრილობები მიაყენა მას 1616 წლის გაზაფხულზე. მარტყოფის სიცოცხლეჩაუმქრალი ისტორიის ნათელი დადასტურებაა მის ირგვლივ ყველა პერიოდის სამარხების არსებობა ძვ. წ. XXV-XXIV საუკუნეებიდან ჩვენს დრომდე. მხედველობაში გვაქვს ადრეული ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული ბრინჯაოს შემდგომი ხანების, ანტიკური ხანის, ადრეფეოდალური და შუაფეოდალური ხანების სამარხები და სამაროვნები, აგრეთვე ანტიკური ხანის ციხე-გალავნის ნაშთები მარტყოფიდან ანტონ მარტყოფელის მონასტრისაკენ მიმავალ გზასთან.

მარტყოფის არქეოლოგიური გათხრების შედეგები ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი საინტერესო ფურცელია.

**აკაკი მათიაშვილი,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

# რა დამავიწყებს



ეროვნული ბიბლიოთეკა

გულნარა ბახტაძე

1973 წელი... „დროშის“ იმჟამინდელი რედაქტორი ბატონი გიორგი ნატროშვილი „მნათობის“ რედაქტორად გადაიყვანეს. ხოლო ჩვენთან, რევაზ მარგიანი დანიშნეს. გვაცნობეს, ხვალ მობრძანდება და მუშაობას შეუდგებაო. თვალწინ წარმომიდგა ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია, მისი რედაქტორი, ომგადახდილი, სახელმოხვეჭილი პოეტი რევაზ მარგიანი, ხშირი თმითა და მაღალი შუბლით. მე, ახალბედა ჟურნალისტი, კრძალვით შევედი მის ოთახში და მორიდებით დავდე მაგიდაზე ჩემი ნამუშევარი „ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“ და აბოლიციონისტური მოძრაობა აშშ-ში“.

— დაბრძანდით, — მითხრა მან და სკამზე მანიშნა. თვითონ კითხვას შეუდგა. სუნთქვა შემეკრა, ჩქამიც არ გამიღია, ვიდრე თავი არ ასწია.

— კარგია, ჩვენ ამას დავბეჭდავთ, მაგრამ შემდეგ რას აპირებთ? არა გაქვთ სურვილი, ჩვენს ჟურნალში რომ ითანამშრომლოთ?

სახეზე ცეცხლი წამეკიდა. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

— მოდით, ხვალვე გაემგზავრეთ თელავში, ჩადით სოფელ კონდოლში და პიონერებზე დაგვიწერეთ ნარკვევი. თუ მოგვეწონება, კვლავ შეგიკვეთავთ, და ამასობაში მზითვებსაც მოაგროვებთ, — გამეხუმრა იგი და გზა დამილოცა...



სიმონ ჩიქოვანი და რევაზ მარგიანი. 1958 წ.

განვლო ჩვიდმეტმა წელმა და აი, ახლა, ჟურნალ „დროშაში“ დავხვდი ბატონ რეზოს. მან პირველსავე საუბარში გაიხსენა ჩვენი შეხვედრა „პიონერში“.

— ბატონო რეზო, გახსოვთ, როგორ გამეხუმრეთ მაშინ? იცით, მართლა „პიონერის“ ჰონორარით ვიყიდე ჩემი საპატარძლო კაბა, ფეხსაცმელი და ყვავილებიც კი.

— რას ამბობ, გამოდის რომ სადედოფლოდ ჩვენ გამოგვიწყვიხარ, ახლა ეს რამ გაგახსენა?

— მაგას რა დამავიწყებს!..

— ჰოდა, ვალში ყოფილხარ ჩემთან, — გულიანად გადაიხარხარა.

რევაზ მარგიანის მოსვლისთანავე ჟურნალს პოეტის ხელი დაეტყო. მშობელი ქვეყნისადმი ერთგულება, ერისა და მოძმე ხალხების ამაღლებული სიყვარული — აი, რით სუნთქავდა „დროშის“ ყოველი ფურცელი. მოხდენილი სათაურების შერჩევა იცოდა, ბევრმა იქნებ არც იცის, რომ ჩვენს საყმაწვილო ჟურნალს რევაზ მარგიანმა დაარქვა „დილა“, „მერანიც“ მისი შერქმეულია.

1979 წელს პოეტი რევაზ მარგიანი გამომცემლობა „მერანს“ დაუბრუნდა. „დროშელებს“ გული დაგვწყდა. ბატონმა რეზომ გაგვამხნევა: „აქ არა ვარ, პირველ სართულზე? ჩამოხვალთ, ამოვალ, გინახულებთ“. მართლაც, არ გვიგრძვნია განშორება, ხშირად ვხედავდით. ხან ვესტიბიულში შემოგვხვდებოდა, ხან რედაქციის წინ, ხან რედაქციის გვერდით მდებარე მაღაზიაში. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ უსათუოდ აქ შეივლიდა, ათას წვრილმანს იყიდდა: ღილებს, ჩანთას, ნაირ-ნაირ თმის სამაგრებს — შვილიშვილი — პატარა ნინიკო რომ გაეხარებინა.

ერთ დღეს აქ შევხვდი.

— აშენებულხარ, გულიჯან, — მითხრა მან, როცა ხელში მომცრო ყუთები დამინახა, — ფლოსტებს არიგებენო, მითხრეს... როგორია, ნეტავი?

— აგერ, — ვუთხარი მე და ყუთი მივაწოდე.

მან ყუთს თავი ახადა.

— ბიჭოს, მართლა კარგია. ნეტავი, ჩემი ფეხის ზომა თუ აქვთ?

გამახსენდა, რომ უკანასკნელი წყვილი მე მერგო.

— არა, აღარა აქვთ. მაგრამ ამას ახლა რა მნიშვნელობა აქვს? მზით გაცვითეთ, ეს ერთი და სხვა მრავალი, — გავუწოდე ყუთი და გასასვლელისაკენ გავბრუნდი.

— გოგო, დაიცა, სად მიდიხარ, არ წაიღებ. — მომძახოდა იგი...

მას შემდეგ კიდევ შევხვდი ბატონ რეზოს. რედაქციის წინ იდგა და მანქანას ელოდებოდა. იდგა კი არა, ირწეოდა, ხელმკლავი გამოვდე.

— გამარჯობათ, ბატონო რეზო, როგორ ბრძანდებით? რა კარგად გამოიყურებით!

— გულს მიკეთებ, გულიჯან? კარგად კი არა, ძლივს ვდგევარ. ერთი სული მაქვს, სახლში მივიდე და წამოვწვე. იცი, რა გითხრა? იმ შენი ექიმების არა მჯერა. თრომბოფლებიტიო, სისხლძარღვებიო... მე ვფიქრობ, ჩემი ტკივილები უჯიშოდ შეკერილი ფეხსაცმლის ბრალია. როგორც კი გავიხდი, გავუყრი შენს ნაჩუქარ ფლოს-

## რევაზ მარგიანი

## მთის კალთაზე სახლი მედგას..

მთის კალთაზე სახლი მედგას,
ხეც ხარობდეს ათიოდე,
იისფერად, განუწყვეტლად
ცაში კვამლი ადიოდეს.

ბუხრის პირას მუხლმორთხმული,
ვით ზღაპარში, ვიჯდე მწყრალი.
ჩემზე იყოს გულმოსული
ჩემი თეთრი დედოფალი.

ბუხარივით გუზგუზებდეს —
მხიარული მქონდეს გული,
ჩემს ბავშვობას მაგონებდეს
ცოლის ტკბილი ჩონგურული.

გასაზრდელი ბიჭი მყავდეს,
გოგო მყავდეს თაფლისთვალი,
შავგვრემანი მამას ჰგავდეს,
დედას — მისი თეთრი ქალი.

დამეზარდონ სანაქებოდ
და მათ დაჰყვეთ დედის გული,
მამასავით იოცნებონ
საქართველოს სიყვარულით.

მთის კალთაზე სახლი მედგას,
ხეც ხარობდეს ათიოდე,
იისფერად, განუწყვეტლად
ცაში კვამლი ადიოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებში ფეხს და ჩიტივითა ვარ. ძალიან გამომადგა, ვუფრთხილდები.

— ნუ უფრთხილდებით, გაცვითეთ, მაგაზე უკეთესს მოგართმევთ, ჭრელ-ჭრულად მოჩითულებს.

ყოველდღე ვაპირებდი, პოეტს შინ ვწვეოდი.

დღესხვალიობით გაირბინა დრომ.

— ბატონი რეზო გარდაიცვალა, — დამხვდა რედაქციაში ამბავი. ქალბატონი ნინო გიბარებთ თქვენ და დინარასო. მივხვდი, რისთვის ვჭირდებოდით ნინოს.

ნინო ქლენტი, რევაზ მარგიანის მეუღლე, მთელი სიცოცხლე ქმრის ცხოვრებით ცხოვრობდა, გამუდმებით მასზე ზრუნავდა, ერთთავად იმას ფიქრობდა, რითი ეამებინა და გაეხარებინა იგი. ამ უკანასკნელადაც უნდოდა მისი გული მოეგო და მხატვარს გაემშვენიერებინა პოეტი, რადგან თავად რევაზ მარგიანი თაყვანს სცემდა დინარა ნოდიას ნიჭსა და გემოვნებას, თავისი ლექსების დასურათებასაც მხოლოდ მას ანდობდა.

ვისხედით მანქანაში და ვდუმდით... თვალწინ მედგა პოეტი თავის შევერცხლილი თმით, დიდრონი სანდომიანი თვალებით. თითქოს მისი ხმაც მომესმა: „ვალში ხარ ჩემთან“.

— როგორ ფიქრობ, როგორ მოვრთოთ იქაურობა? — დაარღვია დუმილი დინარამ.

— როგორ? როგორ და... თუ და ხარ, ძაძებში ნუ შემოსავ იქაურობას, მოვრთოთ თეთრად, მინდვრის ყვავილებით.

— მართალი ხარ, თოვლივით თეთრი და წმინდა ჰქონდა სული. როგორ დამენანა!..

—ალალი იყო, უშურველი, სულგრძელი.

კიდევ ოციოდე წელიწადი
გაილე, მაჩუქე, რა მოხდება!
ტკბილი და ლამაზი სიბერე
ჩემთვის ნუ დაგზარდება.

— ამაოდ ნატრობდა პოეტი.

შუა დარბაზში, გაჩირაღდნებულ ჭერქვეშ ესვენა, ჭრელი ყვავილთა ფარჩა ეფინა ირგვლივ. იწვა სასახლეში, ზღაპრულ სანახებში დაბადებული, სვანური სიდარბაისლით დამშვენებული. მე და დინარა სასახლეს დავტრიალებდით. მკერდზე, მხრებზე, ვაბნევდით ბილილებს, გვირილებს, დედოფალას, ბაიას, წინწკალას, ხარისთვალას, უკვდავას, წყაროსთვალას... ფეხსაცმელს შევავლე თვალი და გული შემეკრა, საოცარმა მიამიტმა ფიქრმა გამტანჯა... იქნებ...

კედლიდან რევაზ მარგიანის პორტრეტი გადმოგვცქეროდა: კავკასიონის მთების ფონზე გადაღებული სურათი. სევდიანი, დაფიქრებული პოეტი შორეთს გასცქეროდა.

სურათს ღეროდატოტვილი ლურჯყვითელა ყვავილი — პატარძალა მივაბნიე.

...დარბაზის შუაგულში ახლა მინდვრის ყვავილებით მოქარგული ბუმბულივით მსუბუქი მთა აღმართულიყო. მოთქვამდა სვანური ზარი და მთა თითქოს აფრენას ლამობდა. მოთქვამდა ზარი და ახლა სვანური ზარით გუგუნებდა, ბობოქრობდა ენგური.

ხალხი ეთხოვებოდა საყვარელ პოეტს...

— რა კარგად მოურთავთ! — ამბობდნენ მოსამძიმრენი.

პოეტის სურათზე მიბნეულ თვალციმციმა ყვავილს შევხედე.

— რისთვის მოსულხარ, შე დალოცვილო?

— ერთნაირად რომ დავამშვენო ლხინი და ჭირი.




ზეკარის უღელტეხილზე.

ზეკარის ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური აგებულია ზეკარის უღელტეხილზე (ზღვის დონიდან 2100 მეტრი). სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სწორად წარმართვა დღეს უკვე შეუძლებელია ამინდის პროგნოზირების გარეშე. ამინდის პროგნოზის დადგენისათვის კი ყველაზე თანამედროვე ტექნიკური საშუალებაა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების რადიოლოკაციური სადგურები, მძლავრი გამოთვლითი ტექნიკა. მაგრამ, ძირითადად, კვლავ რჩება დედამიწის ზედაპირზე

განლაგებული ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურებიდან მიღებული ინფორმაცია.

იმისათვის, რომ მომზადდეს სრულყოფილი პროგნოზი, საჭიროა, რაც შეიძლება ნაკლები იყოს ისეთი ტერიტორიები, რომელთა შესახებაც არ გვქონდეს ჰიდრომეტეოროლოგიური ინფორმაცია. სწორედ ამიტომაა ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურები აგებული ისეთ ძნელად მისადგომ ადგილებში, როგორიცაა ზეკარი. ზამთარ-ზაფხულ, დარსა და ავდარში სადგურის თანამშრომლები აკვირდებიან ჰიდრომეტეოროლოგიურ ცენტრში, სადაც მიღებული ინფორმაციების ანალიზის შედეგად ამინდის საბოლოო პროგნოზს ადგენენ.

ნოდარ სახამბერიძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამინდის მცნობარნი





იწერენ თერმომეტრის მონაცემებს.



ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური

ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის თანამშრომლები ადგენენ ნალექების რაოდენობას.



**კოტე მახარაძე**

# ინტერვიუ სარკეში

ცხოვრების საკმაოდ რთული და ანეწილი გზა გავიარე. კაცმა რომ თქვას, მშვიდი და უშფოთველი დღეები არც მაგონდება. ერთი საქმე არასდროს მიკეთებია. ყოველთვის რამდენიმეს ვეპოტინებოდი ხოლმე, ვერ ვეგუებოდი საყოველთაოდ გამეფებულ აზრს: — სჯობს ერთი საქმე აკეთო, მაგრამ ღრმად და საფუძვლიანად.

თეატრის მოტრფიალეთ ხშირად გავუკეცნწლივარ წელთდაღმართს დაშვებული, ამჩატებული კაცის სპორტით ესოდენი გატაცების გამო და პირუკუ, სპორტის ქომაგნი დღემდე ქილიკობენ, ჩემი „თეატრალური წარმოშობის" თემაზე.

მოდით, ყველას დავანებოთ თავი. რა ბედენაა ჩემთვის, ვინ რა შეკითხვებს მაძლევს, რა დასკვნებს აკეთებს და ან რას ფიქრობს ჩემზე. განა მე თვითონ არ დამისვამს საკუთარი თავისთვის იგივე შეკითხვა? განა ბევრჯერ არ მივსულვარ იმ დასკვნამდე, რომ დროა თავი დავანებო ყოველგვარ გარეშე საქმიანობას და სიცოცხლის დარჩენილი წლები მთლიანად თეატრს შევალიო? განა ახლაც, დღენიადაგ არ მაფორიაქებს იგივე საკითხი? განა ჩემში გამუდმებით არ იბრძვის ეს ორი საწყისი? განა მსახიობი — მახარაძე, და კომენტატორი — მახარაძე არ კინკლაობენ, არ დაობენ დაუსრულებლად, ვინ ვის უშლის ხელს და ვინ ვის ამდიდრებს?

**კომენტატორი** — (სწრაფად, დიუსელდორფის მატჩის ტემპში) ვინ უფრო პოპულარულია ჩვენს შორის?

(მსახიობი სდუმს. გრანდიოზული სერგო ზაქარიაძისეული პაუზა).

1:0! წინ ჩვენები არიან. ისინი გამუდმებით უტევენ და ავიწროვებენ მეტოქეს... მეორე შეკითხვა: ამტკიცებდა თუ არა დიდი სტანისლავსკი, რომ მსახიობის უპირველესი ამოცანაა ჩაწვდეს ადამიანის ბუნებას, ხასიათს? რაც შეიძლება მეტი ნახოს, იმოგზაუროს, გაიცნოს სამყარო, სხვადასხვა ასაკის, რჯულის, კანის ფერის ადამიანები...

**მსახიობი** — (ჩუმად) დიახ.

**კომენტატორი** — ვინ შეგიწყოთ ხელი ამ ამოცანის შესრულებაში?

**მსახიობი** — (უფრო ჩუმად, თითქმის ჩურჩულით) კომენტატორმა, სპორტმა.

**კომენტატორი** — (მომენტალურად) 2:0! დაგრჩათ რამე უნახავი, ვთქვათ, ევროპაში?

**მსახიობი** — (ოდნავ გამოცოცხლდა) როგორ არა, ალბანეთი.

**კომენტატორი** — კონტინენტებიდან?

**მსახიობი** — ავსტრალია.

**კომენტატორი** — თეატრის ხაზით რამდენჯერ იყავით უცხოეთში?

**მსახიობი** — სამჯერ.

**კომენტატორი** — 3:0!

**მსახიობი** — ერთხელ რუმინეთში, რუსთაველის თეატრის გასტროლების დროს, შემდეგ უნგრეთში თეატრის მესამე მსოფლიო კონგრესზე და ამას წინათ ინგლისში მეუღლესთან ერთად.

**კომენტატორი** — მაყურებლები შეხვედრების დროს ხშირად რაზე უფრო გეკითხებიან, თეატრზე თუ სპორტზე?

**მსახიობი** — (თავდახრილი დგას) ცხადია, სპორტზე.

**კომენტატორი** — დაახლოებით რამდენი შეკითხვა დაუსვამთ, ვთქვათ, ფეხბურთზე?

**მსახიობი** — მაგის გამოთვლას კომპიუტერი დასჭირდება.

**კომენტატორი** — თეატრზე?

**მსახიობი** — ერთხელ ზესტაფონში მასწავლებელმა ქალმა მითხრა, უშანგი ჩხეიძის შემდეგ ურიელ აკოსტას თამაში როგორ გაბედეთო. ეს იყო და ეს.

**კომენტატორი** — 4:0! ეს უკვე გამანადგურებელი ანგარიშია, მაგრამ შეტევა გრძელდება. გრძელდება უფროსი მიხეილ მესხის სტილში. მეხუთე შეკითხვა: ავარჯიშებთ თუ არა ხმას? იყენებთ თუ არა ენის გასატეხებს, ვოკალიზებს?

**მსახიობი** — არა.

**კომენტატორი** — რატომ?

**მსახიობი** — კომენტატორის ჯიხურში ისეთ მოთელვას ვაწარმოებ, რომ ჩემი „ჟანგიანი" ხმიდან (ეროსის საყვარელი გამოთქმა იყო) მაქსიმუმი უკვე გამოწურულია. არც ენის გასატეხი მჭირდება.

**კომენტატორი** — რატომ?

**მსახიობი** — ჩემი ენა იმდენად გადატეხილ-გადაგრეხილ-გადანასკვულია, რომ გასწორებას უფრო საჭიროებს ვიდრე გადატეხას.

**კომენტატორი** — ვინ და რამ შეგიწყოთ ხელი ამ საქმეში?

**მსახიობი** — (ამოიგმინა აკაკი ხორავას დარად) აააჰ! სპორტმა, სპორტმა, სპორტმა, სპორტმა!

**კომენტატორი** — (კოტე მახარაძის სტილში) დარტყმა, არის, არის, არის! 5:0! შეტევა ახლა მეორე ფლანგზე გრძელდება. იქ სლავა მეტრეველი ბობოქრობს... რეჟისორმა რომ ახალი სპექტაკლი დადგას, რომელიც მთლიანად იმპროვიზაციაზე იქნება აგებული, მოგცემდნენ როლს თუ არა?

**მსახიობი** — (მთლად გარდაიქმნა, შეხტა-შეინავარდა და ვასო გოძიაშვილის მსგავსად ყბაზე ალიყური იტკიცა) ვა-აჰ! ამ საქმე-ეში, ჯვრის ტუზი ვარ! ბეთჰუმრაზი ვიყო თუ იმპროვიზაციაში ვინმემ მაჯობოს.

**კომენტატორი** — ვისი წყალობით?

**მსახიობი** — (შუა ცეკვაში ოთარ მეღვინეთუხუცესის ფიროსმანივით გაქვავდა) რა გინდა ჩემგან დალოცვილო?! შენი წყალობით, შენი!

**კომენტატორი** — (მჭექარე ხმით, ვით ნუგზარ ჯულელი) მოედანზე გამოჩნდა, არც მეტი, არც ნაკლები — ძაღლი!

**მსახიობი** — (ძაღლის გაგონებაზე შეკრთა და სესილია თაყაიშვილის მსგავსად შეჰკივლა) ხუ-ლი-გან! (კომენტატორმა უხმოდ ამოიღო ყვითელი ბარათი და მსახიობის ცხვირწინ აafრიალა).

**კომენტატორი** — ვის იცნობთ მსოფლიო მნიშვნელობის მსახიობთაგან?

**მსახიობი** — (ოდნავ გამოცოცხლდა) ვერიკო ანჯაფა...

**კომენტატორი** — ნათესავებს შეეშვი! ლოურენს ოლივიეს თუ იცნობთ? (დუმილი). ჟან გაბენს? (დუმილი). ჟან პოლ ბელმონდოს? ჯონ გილგუდს? ჩარლზ ლაუტონს? სიმონა სენიორეს?

(დუმილი, დუმილი, დუმილი).

**მსახიობი** — (გოგი გეგეჭკორის ჰამლეტივით) რად არ შეშლება ეს სხეული ესრედ მაგარი! შენ ვილას იცნობ?

**კომენტატორი** — პელეს, კრუიფს, ბეკენბაუერს, ჩარლტონს, ეუსებიოს, მარადონას... გავაგრძელო თუ?

**მსახიობი** — გაზაევს თუ იცნობ?

**კომენტატორი** — ძალიანაც კარგად.

**მსახიობი** — იშტოიანს?

**კომენტატორი** — ძმაკაცია. მისი ცოლის საქორწინო კაბა ერთად ვიყიდეთ კაიზერსლაუტერნში.

უეცრად ეთერში უცხო ხმა შემოიჭრა:

— Матч проходит при подавляющем преимуществе любимцев трибун. Ошарашив соперника каскадом имен звезд мирового футбола, они проводят еще одну атаку и... го-о-о-о-ол! Итак 6:0.

**Вел передачу Николай Озеров.**

**კომენტატორი** — უკანასკნელი, მეშვიდე შეკითხვა: როგორც ყველა მამაკაცი, თქვენც, ალბათ, მოსწონდით ქალებს. რა უფრო ხიბლავდათ მათ თქვენში, მსახიობი თუ კომენტატორი?

(მსახიობი უცებ წამოენთო, ხელი ისე გაიქნია, თითქოს ემმაკისეულ ძალას იცილებსო თავიდან).

**მსახიობი** — არა და არა, ბენ-იოხაი! (სწრაფად შემობრუნდა და თვალანთებული, გაანჩხლებული, წარბებაზიდული ისე დაიძრა მეტოქისაკენ, რომ სოფიკო ჭიაურელს მოგაგონებდათ) რატომ მიგიწვიეს მიკროფონთან, რის წყალობით? (პასუხს არც დაელოდა) 1:6! ვინ მოგცა სიტყვის ძალა, ვინ გასწავლა პაუზის ფასი, მაყურებლის ყურადღების შეკრეფა — 2:6! 3:6! რამდენი რეპორტაჟი ჩაგიტარებია 30 წლის მანძილზე?

**კომენტატორი** — (იხტიბარს ჯერ არ იტეხს) 2500-ზე მეტი!

**მსახიობი** — ერთხელ ურიელ აკოსტას კარგად თამაში სჯობია თუ ათასი რეპორტაჟი? 4:6! გქონია ბედნიერება გეთამაშა სცენაზე აკაკი ხორავასთან? აკაკი ვასაძესთან? სერგო ზაქარიაძესთან? ვასო გოძიაშვილთან? თამარ წულუკიძესთან? ასპასია პაპატანასიუსთან?.. ნათესავებზე არაფერს ვამბობ...ეროსისთან? გოგისთან? რამაზთან? ტარიელთან? იაშასთან? გიძმაკაცია ჯუჯურა ლაფერაძესთან? ჰა, გეკითხები, გიძმაკაცია? 4:6! 5:6! 6:6!

აქ იძულებული ვართ, ფარდა დავუშვათ, რადგან კამათმა ისეთი სახე მიიღო, რომ უცენზურო სიტყვებიცაა მოსალოდნელი.

ფარდის წინ ორივე ღიმილით გამოდის.

— თავს ნუ მოვიჭრით, ხალხის წინაშე. ამდენი წელი ერთად გვივლია. სამოცმაც მოაკაკუნა. მოდი, მტრის ჯინაზე, ხელი-ხელს მაგრად ჩავკიდოთ და კვლავაც ერთად ვიაროთ..

ხმამაღლა წამოიწყეს სიმღერა „წამოდი ერთად ვიაროთ", მაგრამ იმის გამო, რომ არც ერთსა და არც მეორეს მუსიკალური სმენა არ გააჩნია და თავისი ჩახლეჩილი ხმებით მხოლოდ თუ შეურაცყოფენ მადლიან ქართულ სიმღერას, დადუმდნენ და უხმოდ შეუყვნენ ცხოვრების მეშვიდე ათეულს.



სცენა სპექტაკლიდან „ურიელ აკოსტა"
ივდითი — სოფიკო ჭიაურელი
ურიელ აკოსტა — კოტე მახარაძე

## კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 4. „ოქროს ბურთის" მფლობელი ფეხბურთელი; 7. გფრ-ის ნაკრების წევრი; 8. სახალხო ცეკვა; 9. XIII მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი; 12. საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან; 14. სახელმწიფო ამერიკაში; 16. უხეში გამოხვლა ვისიმე წინააღმდეგ; 17. ფეხბურთელი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მექსიკაში გამართულ ორივე მსოფლიო ჩემპიონატში; 18. სტადიონი ბრაზილიაში; 19. XIII მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი; 20. ფეხბურთელი, რომელიც სამჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი; 23. მარტოხელი; 24. სახელმწიფო ევროპაში; 25. ქიმიური ელემენტი; 29. უხუცესი მეკარე მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში; 30. ერთუჯრედიანი ცხოველი; 31. 32. ქალაქები მექსიკაში.

ვერტიკალურად: 1. უნგრეთის ნაკრების მწვრთნელი; 2. ხურდა ფული ძველ საბერძნეთში; 3. ცხოველი; 5. ქალის საცხენოსნო კაბა; 6. გფრ-ის ფეხბურთელთა კლუბი; 10. იტალიის ფეხბურთელთა კლუბი; 11. სისხლის სამართლის დანაშაული; 12. გულუბრყვილო ქალის როლის შემსრულებელი მსახიობის ამპლუა; 13. ბერძნული მითოლოგიის გმირი. 14. გფრ-ის ფეხბურთის ნაკრების წევრი; 15. ავგაროზი; 21. მსოფლიოში სახელგანთქმული უნივერსიტეტი; 22. ტრანზისტორის შემადგენელი ნაწილი; 26. რესპუბლიკა სსრკ-ში; 27. სახელგანთქმული ფეხბურთის მწვრთნელი წარსულში; 28. ფეხბურთელი, რომელიც დაასახელეს მექსიკის ჩემპიონატის შემდეგ შედგენილ სიმბოლურ ნაკრებში.

შეადგინა მზია მექერიშვილმა.

გარეკანის პირველსა და მეოთხე გვერდებზე: უჩა ჯაფარიძე. კედლის მხატვრობა „შრომის ზეიმი".
ჩანართის პირველ გვერდზე: უჩა ჯაფარიძე. „დიდი ილია".
მეოთხე გვერდზე: უჩა ჯაფარიძე. „თინათინი".

გადაეცა წარმოებას 8. 10. 86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 11. 86. უე 10352. ქაღალდის ზომა 70×108¹/₈. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50 000. შეკვეთა 2618. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

# 24 წლის წინ...

ამ რამოდენიმე ხნის წინ ვათვალიერებდი ჩემს ფოტოარქივს და მასში აღმოვაჩინე ნეგატივი წარწერით: „3/V — 1962 წელი, ტურ ჰეიერდალი და გურამ თიკანაძე“. ორივე ეს სახელი კარგად არის ცნობილი საზოგადოებისათვის და, ალბათ, ბევრს დააინტერესებს ამ 24 წლის წინ ფირზე აღბეჭდილი მომენტი.

სახელგანთქმული ნორვეგიელი მეცნიერი — ეთნოგრაფი და ანთროპოლოგი, გამოჩენილი მოგზაური, პროფესორი ტურ ჰეიერდალი დღესაც ჩვეული ენერგიითა და შემართებით განაგრძობს მოღვაწეობას. მას შარშან 70 წელი შეუსრულდა, წელს კი კვლავ წარუძღვა ექსპედიციას წყნარი ოკეანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე აღდგომის კუნძულზე. აქ იგი აგრძელებს კუნძულის საოცრების — ოკეანისაკენ პირისახით მდგარი ადამიანის გიგანტური, უძველესი ქანდაკებების შესწავლას. გურამ თიკანაძე კი, ჩვენი საყვარელი გურამი, — ქართული ფოტოჟურნალისტიკის მედროშე, მხატვრული ფოტოხელოვნების ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელთაგანი, სწორუპოვარი შემოქმედი და შესანიშნავი ალპინისტი დღეს ჩვენს შორის აღარ არის. ნეგატივზე აღნიშნული თარიღიდან მან მხოლოდ ერთ წელზე ცოტა მეტ ხანს იცოცხლა,—1963 წლის 27 აგვისტოს იგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა — ოცდაათი წლისა დაიღუპა სვანეთის ცნობილი მწვერვალიდან, შხარადან ჩამოსვლისას და თან წაიღო მრავალი განუხორციელებელი ოცნება...

აქ წარმოდგენილი ფოტოსურათების ისტორია ასეთია. 1962 წელს ტურ ჰეიერდალი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა, მოსკოვში მას გადაეცა მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის პრემია. იმავე წელს, მაისის დამდეგს, მეცნიერი საქართველოს ესტუმრა. 3 მაისს თბილისის უნივერსიტეტში წაიკითხა მოხსენება ტივით („კონ-ტიკით“) სამხრეთ ამერიკის ნაპირებიდან პოლინეზიამდე ლეგენდარული მოგზაურობის შესახებ.

მე და გურამი პირველსკოლელები ვიყავით და მასთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა. იმ ხანებში დამწყები ფოტომოყვარული გახლდით და გურამი ყოველნაირად ახალისებდა ჩემს ამ ახალ გატაცებას. 2 მაისს ტელეფონით დამირეკა და მითხრა, ტურ ჰეიერდალი თბილისში ჩამოვიდა, ხვალ დილით შევხვდეთ და გაჩვენებო. ფოტოაპარატის წამოღება არ დაგავიწყდესო, — დააყოლა. მეორე დღეს, მართლაც, შევხვდით. ეს ფოტოსურათებიც იმდღევანდელია. ტურ ჰეიერდალი საქართველოს უცხოეთის ქვეყნებთან კულტურულ ურთიერთობათა საზოგადოების შენობის წინ დგას. მეორე სურათზე აღბეჭდილია გურამ თიკანაძე, რომელიც მას უღებდა ფოტოს. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე მათი ერთ კადრში მოთავსება, რადგან მოკლეფოკუსიანი ობიექტივი იმხანად არ გამაჩნდა.

**ზურაბ ურუშაძე,**

დოცენტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის გამგე.



გურამ თიკანაძე ფოტოსურათს უღებს ტურ ჰეიერდალს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა





პიონერული ქალაქი „მზიური“.
ნოდარ დუმბაძის მემორიალი.

მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი.

ფოტო იოსებ დავითაშვილისა.

# დროშა

ეროვნული
ბიბლიოთეკა









ინდექსი 76056